დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს მწვანე სკოლა-საბურთალო

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე

წევრები:

ლელა ფიცხელაური -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თამარ ჩხიკვაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნონა ბერიშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
სალომე არაბიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ნიკოლოზ ჩუბინიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
დავით ბოლქვაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი,
მაკა ინაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	მწვანე სკოლა-საბურთალო
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	405632356

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
საფოსტო ინდექსი	0183
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	www.gschool.edu.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	saburtalo@greenschool.org.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	591424442

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 0 23 0001033887; 24/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	31 აგვისტო-1 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო	საშუალო საგანმანათლებლო	ქართული ენა	თბილისი, ბესარიონ ჟღენტის

	პროგრმა	პროგრამა		N37

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, შპს ,,მწვანე სკოლა-საბურთალო"-ში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ვიზიტის დროს სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. კერძოდ, ეზოს და გარე ფასადის კეთილმოწყობა. და შენობის შიდა სივრცის დალაგება-დასუფთავება. მიმდინარეობდა ბიბლიოთეკისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით. მოწყობილი იყო კომპიუტერული ლაბორატორია.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: ------1200--------	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. --ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა ---- სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრმა--- სრულ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაილზიევი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებშ რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ 31.12.2023 -მდე პერიოდში :** ➢ **მოიპოვოს დასკვნა** შენობის მდგრადობის შესახებ. ➢ **მოიპოვის დასკვნა** შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ .
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულ 31.12.2023 -მდე პერიოდში მოახდინოს**: უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება.
ინდიკატორი 3.6.2.2.	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	**სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ 15.10.2023 პერიოდამდე:** სკოლის მართვაში გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(საბაზო საფეხურისკურიკულუმი)	
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურ კურიკულუმი)	*რჩევა*

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი. სკოლამ ასევე გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევებიც და წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები.
არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები:

1. განახლებული ,,სკოლის შინაგანაწესი“
2. განახლებული ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
3. მიღება-ჩაბარების აქტი ,, სკოლის ეზოსა და გარე ფასადის მოპირკეთების შესახებ“
4. მიღება -ჩაბარების აქტი ,,ვიდეო კამერების მონტაჟზე“
5. შესწორებული მე-9 კალსის ბიოლოგიის კურიკულუმი

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლა იღებს ვალდებულებას ხარისხიანი განათლების მეშვეობით, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად აღზარდოს უკეთესი მომავალი თაობა. სკოლის ხედვა მდგომარეობს შემდეგში: სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს დემოკრატიული, ჰუმანური, ცოდნაზე ორიენტირებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალურად მოაზროვნე აქტიური ადამიანების, თაობების აღზრდას, რომლებიც შეცვლიან მსოფლიოს უკეთესობისკენ. სკოლის მისიაში აქცენტი გაკეთებულია სწავლების ხარისხზე, ურთიერთანამშრომლობაზე, სასკოლო საზოგადოების ჩართულობაზე და მომავალი თაობის წარმატებაზე, ხოლო სკოლის მომავალი ხედვა ითვალისწინებს სკოლის მთავარ დანიშნულებას, თუ რა გზით აპირებს სკოლა მისიის მიღწევას.

   ინდიკატორი 1. 1. 1. 1. დაკმაყოფილებულია

2. სოციო-კულტურული სივრცე, რომლის შექმნაც სკოლას აქვს განზრახული, ხელს შეუწყობს მოზარდის პიროვნულ განვითარებას. მისიის და ხედვის შესაბამისად, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა, შიდასასკოლო დოკუმენტაცია, მათ შორის, სასკოლო სასწავლო გეგმა და დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება მოზარდის პიროვნულ განვითარებას. სადამრიგებლო საათის ფარგლებში ტუტორების მიერ, ასევე, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების მიზნით, სკოლაში დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრები, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ბულინგი/კიბერბულინგი, ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია და სხვა. აღნიშნული აქტივობებით სკოლა, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ტოლერანტი თაობის აღზრდას, რომელიც პატივს სცემს სხვა ადამიანების უფლებებს, ხოლო მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლების/მშობლების ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშვების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა შეფასდა, ერთის მხრივ, წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის გზით, მეორე მხრივ კი საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ინტერვიურების მეთოდით. სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე, რომლითაც დასტურდება მისიის შემუშავების პროცესში არსებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

   სკოლამ შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია თუ როგორ ახორციელებს სკოლა სტრატეგიულ დაგეგმვას თანამონაწილეობის პრინციპის დაცვით. სკოლის დირექცია აცნობიერებს სკოლის ფილოსოფიის მნიშვნელობას სკოლის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში და სწორედ ამიტომ, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების შექმნის პროცესში შეეცადა მაქსიმალურად მოეცვა ყველა დაინტერესებული მხარე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ფილოსოფიის შემუშავებამდე შეისწავლა სასკოლო თემის ინტერესები კითხვარების, სამუშაო შეხვედრების გზით და სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის ჩამოყალიბება. გარდა ამისა, პროექტის განხილვის ეტაპზე ჩაერთო სკოლის პედაგოგიური საბჭოც, რომელმაც საბოლოო სახით მოახდინა სკოლის ფილოსოფიის პროექტის ფორმირება. სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, მოხდა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცება. ამასთან, რადგან სკოლა არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და არ ჰყავს მოსწავლეები, ცხადია, ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში მოსწავლეების და მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების

ჩართულობა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ორგანიზაციის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობას ორგანიზაციის მისიის, ხედვის და ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესში.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა ახალი სუბიექტია, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების მიერ გაზიარება ვიზიტის პერიოდში ვერ დგინდება, თუმცა სკოლას დამტკიცებული აქვს სკოლის ფილოსოფიის(მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების დაცვით სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია მასწავლებელთა მიერ, ვინაიდან სკოლის მომავალი მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტების შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ. პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და ანალიზი.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. ორგანიზაციის მისია, ხედვა და ღირებულებები დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია საჯაროდ. შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე/სკოლის სტენდზე, გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელში და ვებ-გვერდზე. ასევე შეტანილია 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესი მოიცავს გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. ორგანიზაციის სახელწოდება შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი. სახელწოდება ასევე შესაბამისობაშია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც ადგენს მოთხოვნებს იურიდიული პირების სახელწოდებასთან დაკავშირებით. კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სახელწოდება: მწვანე სკოლა - საბურთალო.

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შინაგანაწესი;
- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
- კითხვარის ანალიზი;
- სკოლის ვებ გვერდი;
- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე, სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროცესის დაგეგმვას და წარმართვას სკოლის თანამშრომლების ჩართულობით, მოსწავლეების და მშობლების მონაწილეობით. დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ჯგუფმა გამოიკვლია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და უზრუნველყო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა. სწორედ კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, ხოლო სტრატგეულ გეგმაზე დაყრდნობით ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სკოლის განვითარების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინა სკოლის დირექტორს, რომელმაც უზრუნველყო აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის (პედაგოგიური საბჭოსთვის) გაცნობა, განხილვა და უკუკავშირის შეგროვება. უკუკავშირის საფუძველზე განხორციელდა გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და დამტკიცება.

   სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, ორგანიზაციის პრიორტეტების გათვალისწინებით, განისაზღვრება ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები, მიზნის მიღწევის გზები და შესაბამისი ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები, შეიქმნება ანგარიშგების სისტემა, განხორციელდება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი, ასევე, შეფასება, რასაც უნდა მოჰყვეს შეფასების შედეგებზე სათანადო რეაგირება. პროცესების სათანადოდ წარმართვამ უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის განვითარების პროცესის უწყვეტობა და პროდუქტიულობის გაზრდა. იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციას ჯერ მოპოვებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და როგორც სკოლა არ ფუნქციონირებს, არ ირიცხებიან მოსწავლეები, ამასთან, ჯერ კიდევ მიმდინარეობს სკოლის პერსონალის ფორმირება, ფუნქციონირების დაწყებამდე, დაგეგმილია შემუშავებული გეგმების მათი ჩართულობით განხილვა და უკუკავშირის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება.

   ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა შვიდწლიანია და დაგეგმილია სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების (ფილოსოფიის) გათვალისწინებით. სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის შესაძლებლობების, ასევე, კონკურენტული გამოწვევებისა და ცვალებადი გარემოს პროგნოზირებად ანალიზს. სტრატეგიის ჩამოყალიბებით სკოლა მიზნად ისახავს, საკუთარი რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას და საგანმანათლებლო ბაზარზე საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს სამ სტრატეგიულ მიმართულებას: 1.სკოლის მომსახურების -განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა; 2. სკოლის რესურსების (ადამიანური და მატერიალური) გაუმჯობესება; 3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები, რომელთა თანმიმდევრულად განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს სკოლის სტრატეგიული მიზნების მიღწევა.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლის დირექტორის ბრძანებით შეიქმნა ჯგუფი რომელსაც დაევალა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა. ჯგუფმა შეიმუშავა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პირველ ეტაპზე დაეფუძნა მხოლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმას. სამოქმედო გეგმა გაეცნო სასკოლო საზოგადოებას, ხოლო საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ დამტკიცდა. ამასთან, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებულია ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება განხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის, განვლილი პერიოდის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რომელთა შესაბამისად განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. გეგმაში გათვალისწინებულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი თანამშრომლები/სტრუქტურული ერთეულები და აუცილებელი რესურსები, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;

- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ფილოსოფიის და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების განხილვაზე;
- 2023-2030 წლების სტარტეგიული გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- SWOT ანალიზი;
- კითხვარის ანალიზი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად უზრუნველყოფილი იქნება ყოველწლიური საოპერაციო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების მონიტორინგი. ამასთან, დაგეგმილია სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ერთი მხრივ, უნდა შეფასდეს რამდენად ყველა აქტივობა სრულდება და ამოცანა მიიღწევა, მეორე მხრივ, საშუალო ვადის გასვლის შემდეგ ასევე ფასდება, მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად რამდენად სწორად არის განსაზღვრული ამოცანები და შესაბამისი აქტივობები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. მონიტორინგის ნაწილში მოხდება შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების იდენიტიფიცირება, შეფასების ნაწილში კი შინაარსობრივი ანალიზი წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. ანალიზის შედეგები გამოყენებული იქნება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა გეგმავს მოახდინოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება. ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესრულების შესაბამის მტკიცებულებებს, ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე, სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც ასევე დაესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენით. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსება მეთოდოლოგიით დამტკიცებული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის განხორციელებასთან/შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, გაკეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სკოლა არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. შესაბამისად, როგორც სტრატეგიის, ისე სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ მომხდარა.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. მწვანე სკოლა-საბურთალო არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლა გეგმავს, საჯარო გახადოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. ამ მიზნით, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგით სკოლამ განსაზღვრა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებისთვის, ასევე, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ფოსტა ან/და სოციალური ქსელი და ა.შ.

ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მწვანე სკოლა-საბურთალო არის ახალი სუბიექტი, მინიჭებული არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. ამრიგად, განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგი
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დებულება, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის სტატუსს, საქმიანობის მიზნებს,

სტრუქტურისა და მართვის საკითხებს. დებულება აზუსტებს სკოლაში დასაქმებული პერსონალის თანამდებობრივ ინსტრუქციებს, სტრუქტურულ ერთეულებს და მათ ფუნქცია-მოვალეობებს. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მართვის სტრუქტურა, ყველა თანამადებობისა და სტრუქტურული ერთეულის იერარქიული მიმართებებით.

შპს მწვანე სკოლა-საბურთალოს სტრუქტურა შედგება პარტნიორთა საერთო კრების, სკოლის დირექციის, ადმინისტრაციული პერსონალის, ტექნიკური პერსონალის, აუზის პერსონალისა და პედაგოგიური პერსონალისაგან. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები პედაგოგიური საბჭო და მშობელთა კლუბი. სკოლაში მუშაობენ საგნობრივი კათედრები, ასევე, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, საკონკურსო კომისია. საჭიროებისამებრ, დირექტორის ბრძანებით შეიქმნება საგამოცდო კომისიები, ინვენტარიზაციის კომისია, ისგ ჯგუფი და ა.შ.

სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების ფუნქციები, უფლებები და მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და სკოლის მიერ დამტკიცებულ დებულებაში. კერძოდ, თითოეული საგნის მასწავლებელთან გაფორმებულია მისი სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია მათი მოვალეობები.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები (პედაგოგიური საბჭო, მშობელთა კლუბი) ფუნქციების შესრულებისას იხელმძღვანელებენ ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და სკოლის მიერ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის შემუშავებული დებულებით გაწერილი უფლებამოსილების ფარგლებში. პედაგოგიურ საბჭოში შედის სკოლის ყველა მასწავლებელი და ტუტორი.

მწვანე სკოლის მშობელთა კლუბი წარმოადგენს სკოლის დირექციის ინიციატივით შექმნილ ერთეულს, რომლის დაარსების მიზანია სწორი და ეფექტური კომუნიკაციის არსებობა სკოლის დირექციასა და მშობლებს შორის. მშობელთა კლუბის წევრობა შეუძლია მწვანე სკოლის პირველიდან მეთორმეტე კლასების ჩათვლით მოქმედი მოსწავლის ნებისმიერ მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს), რომელიც გამოხატავს წევრობის სურვილს და რომელსაც თითოეული კლასის მშობლები აირჩევენ საკუთარ წარმომადგენლებად. მშობელთა კლუბს შეუძლია დირექციას მიაწოდოს საკუთარი მოსაზრებები მოსწავლეების ექსტრაკურიკულარული აქტივობების და მათი სკოლაში ყოფნის ყოველდღიურობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა განხორციელდება პროფესიული განვითარების სქემისა და შიდა რეგულირების დონეზე შემუშავებული პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად. თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შეიქმნება ისგ ჯგუფი. ისგ ჯგუფი თავისი ფუნქციების განხორციელებისას იხელმძღვანელებს ეროვნული სასწავლო გეგმით, სასკოლო სასწავლო გეგმით, ასევე, მულტიდისციპლინური გუნდის

რეკომენდაციებით. ინკლუზიური განვითარების შიდა მონიტორინგის ჯგუფი იხელმძღვანელებს მონიტორინგის ჯგუფის დებულებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის მიერ დამტკიცებული ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებით.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სკოლის დებულებით, შრომის შინაგანაწესით, სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, ხარისის უზრუნველყოფის მექანიზმები და პერესონალის მართვის პოლიტიკით უზრუნვლეყოფილია დაწესებულებაში დასაქმებულთა შორის ფუნქციების ისეთი გადანაწილება და ურთიერთმიმართება, რომ შექმნილია საგანმანათლებლო და დამხმარე პროცესების განხორციელების სრული წინაპირობა.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- შრომის შინაგანაწესი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა.
- სკოლის სტრუქტურა;
- პედაგოგიური საბჭოს დებულება და სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კათედრის დებულება და სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის დებულება;
- მშობელთა კლუბის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- თანამშრომლებსა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; კერძოდ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის შინაგანაწესი, დამტკიცებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი და პეროსნალის მართვის პროლიტიკა, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. პერსონალის მართვის პროცესში სკოლა ითვალსიწინებს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებს; ხოლო ადამიანური რესურსების მართვას ახორციელებს თანასწორობის, არადისკრიმინაციულობის, გუნდურობისა და თანამშრომლობის პრინციპით.
   ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილი სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას შეფერხების გარეშე. გარდა ამისა, მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას, ახალი კადრების მოზიდვის პროცედურებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულებას დაგეგმოს და გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი პრევენციული და ინტერვენციული ზომები. სკოლას აქვს პერსონალის პრევენციული მართვის მიდგომა. კერძოდ, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლის დირექცია გააანალიზებს თუ რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრი მომდევნო სასწავლო წლიდან და საჭიროების

შემთხვევაში, წინასწარ გამოაცხადებს კონკურსს იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ისეთი პუნქტები, როგორებიცაა პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის შერჩევის წესი, მასწავლებელთა სამუშაოზე მიღების წესი (რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესს“). დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის. ახალი კადრის შერჩევის პროცესში, დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვა. ვინაიდან დაწესებულება ჯერ არ არის მოქმედი სუბიექტი, პერსონალი კვლავაც ფორმირების ეტაპზეა. მასწავლებლის შესარჩევად სკოლა აცხადებს ვაკანსიას კანონმდებლობით დადგენილი წესით და კონკურსის პირობების შესაბამისად არჩევს საჭირო კადრს. პირველ ეტაპზე პედაგოგთა შერჩევა მოხდა ღია კონკურსის საფუძველზე, თუმცა მომავალში მასწავლებლის შერჩევას სკოლა გეგმავს შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკურსის ვადები, ეტაპები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექტორს ბრძანებით შექმნილი აქვს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია, რომელიც კანდიდატს არჩევს და აფასებს კონკურსის ჩატარების წესით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კონკურსი ცხადდება დასაქმების ვებგვერდზე teacherjobs.ge და jobs.ge, სადაც განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ ინფორმაცია. რაც შეეხება დანარჩენ პერონალს, შესაძლოა ახალი კადრი შერჩეულ იქნას როგორც დირექციასთან გასაუბრების გზით, ასევე, კონკურსის საშუალებითაც.

   კანონმდებლობასათან შესაბამისობის მიზნით, სკოლაში დასაქმებულებს წარმოდგენილი აქვთ კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. მათ შორის, ცნობები ნასამართლეობის არ ქონის შესახებ და ცნობები, რომლითაც დასტურდება, რომ ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირს ჩამორთმეული არ აქვს საქმიანობის უფლება.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.კერძოდ, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისა და მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობითა და სკოლის შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნული დგინდება პეროსნალის პირადი საქმეებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა კადრების ფორმირების პროცესი. ამ ეტაპზე დასაქმებულია 68 მასწავლებელი, მათ უმრავლესობას აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ნაწილი ასწავლის დამატებით სავალდებულო საგნებს, რამდენიმე მათგანთან კი გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პირობით, რომ ხელშკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში გაივლიან მასწავლებელთ მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციურ კურსს. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეულები არიან კონკურსის საფუძველზე, ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესისა'' და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. რაც შეეხება სკოლის დანარჩენ თანამშრომლებს, სკოლის დებულებაში გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული პოზიციისათვის, შესაბამისად, სკოლის მიერ შერჩეული კადრები აკმაყოფილებენ წინამდებარე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ იციან საკუთარი უფლება-მოვალეობები და აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახლა ფუძნდება როგორც ზოგადასაგნამანთლებლო დაწესებულება, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე შეხვედრების ამსახველ ოქმებსა და აქტებში იკითხება გადაწყვეტილებების მიღების დემოკრატიული, გუნდური პრინციპები. დაწესებულების წარმომადგნელებთან გასაუბრებით დგინდება, რომ შპს მწვანე სკოლა-საბურთალოს ზოგადსაგნამანთლებლო მიმართულების დაფუძნება, მთავარი პრიორიტეტების გამოკვეთა და სამუშაო პრინციპებზე შეთანხმება ხანგრძლივი მოკვლევის, მსჯელობისა და ერთობლივი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის სხვადასხვა მუხლი ხაზს უსვამს გუნდურობისა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, ნდობას და პატივისცემას თანამშრომლებს შორის, მენეჯმენტსა და პერსონალს შორის, რისთვისაც დანერგილია უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით, წახალისებულია კომუნიკაცია და დისკუსია მენეჯმენტთან; დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამშრომელთა მაქსიმალური ჩართულობა და სკოლის შედეგებსა და წარმატებაზე პასუხისმგებლობის გაზიარება. კოლეგიური

ორგანოების დებულებებში იკვეთება გუნდური მუშაობის მექანიზმები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმრავლესობის ჩართულობის აუცილებლობა.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. დაწესებულების პერსონალის მიერ, ამ დრომდე განხორციელებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა ეყრდნობა დასაქმებული კადრების საუკეთესო გამოცდილებას და პრაქტიკას. შპს „მწვანე სკოლა - საბურთალო“ წარმოადგენს მწვანე სკოლების ქსელის შემადგენელ ნაწილს, რომელიც უკვე წლებია წარმატებულად საქმიანობს და ერთ-ერთ მაღალრეიტინგულ, მოთხოვნად სკოლების ქსელად ითვლება. სკოლა ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე და ამ კუთხით, არ იშურებს ფინასურ თუ ადამიანურ რესურსს. შესაბამისად, შპს „მწვანე სკოლა - საბურთალო“ იგივე ღირებულებების მატარებელი დაწესებულებაა, რომელიც გარკვეული პერიოდულობით მოახდენს არამარტო შიდა ორგანიზაციული კლიმატის კვლევას, არამედ პერიოდულად შეისწავლის და გაიზიარებს სხვა წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას პერსონალის მართვისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის მიზანია თანამშრომლებს მოტივაცია გაუზარდოს მათი მიღწევების წახალისებით. თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია წახალისების სისტემა. კერძოდ, პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ინფორმაცია სკოლის წარმატებების, თანამშრომლების წარმატების, მათი მიღწევებისა და გამორჩეული აქტივობების შესახებ გამოქვეყნდება სკოლის სოციალურ ქსელში, ვებ-გვერდზე, ასევე განიხილება სკოლის თანამშრომელთა შეხვედრებზე.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- შრომის შინაგანაწესი;

- სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- თანამშრომელთა და მასწავლებლების პირადი საქმეები;
- საკონკურსო კომისიის ოქმები და კონკურსის ჩატარების წესი;
- თანამაშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა;
- კითხვარის ანალიზი;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები; სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტიში გაწერილია პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის მექანიზმები, რაც საშუალებას იძლევა, დადგინდეს თანამშრომლების საჭიროება და შემუშავდეს შესაბამისი რეაგირების გზები. გარდა ამისა, დაწესებულების ამოქმედებისთანავე შეიქმნება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განახორციელებს პედაგოგთა პროფესიული განვითარების აქტივობებს, კანონმდებლობის შესაბამისად. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პროფესიული განვითარების გზები. ამ დოკუმეტის მე-5 მუხლი ეხება ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით სკოლაში განხორციელდება პოზიციების შესაბამისი სამუშაო აღწერილობების შემუშავება და მათი განახლება; დირექციის შეხვედრებზე განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების და პროცედურების ეფექტიანობა. სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასების რეგულაცია. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის შეფასებას განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ეს ჯგუფი განახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს; რეგულარულად შეამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნას და უნარებს; მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს. საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით გააკეთებს ანალიზს და შეიმუშვებს რეკომენდაციებს.

   ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს აღმასრულებლი დირექტორი. შესაბამისი საფეხურის მენეჯერები ეხმარებიან და მეთოდურ მითითებებს აძლევენ მასწავლებლებს ესგ-ს შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას. სკოლას აქვს მექანიზმი თუ როგორ დაადგინოს პერსონალის პროფესიული საჭიროებები. სკოლაში იმართება კონსულტაციები და სადისკუსიო შეხვედრები. სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას კითხვარების მეშვეობით. დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში განსაზღვრულია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვა. შეფასების ინსტრუმენტებად სკოლა გეგმავს გამოიყენოს მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება - შემუშავებულია ურთიერთდასწრების ფორმები. ხარისხის ჯგუფის დასწრებებით განხორციელდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომელიც განსაზღვრავს ხარიხის ჯგუფის საქმიანობას (მუხლი 7 - ხარისხის ჯგუფის საქმიანობა).

ამ მუხლის თანახმად, ხარისხის ჯგუფი განახორციელებს მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენას, მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას და შეფასებას. ხარისხის ჯგუფი, გარდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისა, განახორციელებს: მასწავლებლის მიერ შედგენილი საგნობრივი სასწავლო გეგმის შეფასებას, საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებას და მასწავლების რეფლექსიის შეფასებას, მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების შეფასებას და მისცემს განმავითარებელ უკუკავშირებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლას აქვს პერსონალის საჭიროებების დადგენის მექანიზმი. თუმცა სკოლა ჯერ არ არის მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და პერსონალის საჭროებების დადგენა უფრო აქტიურად განხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ. თუ გამოვლინდა, რომ გარკვეული მიმართულებით თანამშრომელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან თვითონ დასაქმებული გამოთქვამს ამის სურვილს, სკოლა მზად არის უზრუნველყოს პროფესიული განვითარების შესაძლებელობით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სკოლის მიერ შედგენილი თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტოვობების გეგმა. კერძოდ, სკოლას თანამშრომელთა პროფესიული განვითრებისთვის დაგეგმილი აქვს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობა, კათედრების ურთიერთდასწრება და გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი თანამშრომლობა, სკოლის დაფინანსებით ტრენინგების ორგანიზება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა, სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვიათარების მეთოდოლოგია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება ითვალისწინებს თანამშრომლებისა და მასწავლებლების კარიერული წინსვლის ხელშეწყობას, რისი განხორციელებაც შესაძლებელი იქნება სუბიექტის ავტორიზაციისა და სასწავლო პროცესის დაწყების შემდგომ. სკოლა მზად არის ხელი შეუწყოს

პერსონალის კარიერულ ზრდას; ამ კუთხით, სკოლაში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება; კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების გამართვა; გაცვლით პროგრამებში მასწავლებლების მონაწილეობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში მასწავლებელთა ჩართვა; პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა. გარდა ამისა, სკოლის დირექციის ინიციატივით და საჭიროებების შესაბამისად ჩატარდება შიდა სასკოლო ტრენინგები. კერძოდ: მასწავლებლებს უკვე ჩაუტარდათ შიდა სასკოლო ტრენინგები კურიკულუმის შემუშავებასთან დაკავშირებით. სკოლა აპირებს მასწავლებელთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ყოველწლიურად შესთავაზოს მათთვის საინტერესო და აქტუალური ტრენინგები, როგორც შიდა, ასევე, გარე რესურსის გამოყენებით. **ამ ეტაპზე, აღნიშნული ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკაში გაწერილია ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის წესი სამუშაო გარემოში, რომელიც მოიცავს ორგანიზაციული ორიენტაციის სისტემას, „მეგზურობის“ გაწევას. სკოლაში ახალმიღებულ კადრს ადაპტაციაში ეხმარება შესაბამისი საფეხურის მენეჯერი და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. მასწავლებლობის მაძიებელზე ხდება ტუტორის მიმაგრება, სტაჟიორის ან პრაქტიკანტის მიღების შემთხვევაში სკოლა გამოყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელს, რომელიც ეხმარება მას ადაპტაციასა და პროფესიული დახელოვნების პროცესში.

   ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და წახლისების მექანიზმი. სკოლას ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო სახსრები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;

- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- კითხვარის ანალიზი;
- თანამშრომელთა პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად, რაც მოიცავს 1. სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასებას და შემდგომ გაუმჯობესებას. 2.ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას; 3. სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ყოველივე ამის განხორციელებისათვის განსაზღვრულია შიდა და გარე შეფასების სისტემა. შიდა შეფასების სისტემა მოიცავს 4 ციკლს: 1. დაგეგმე, 2. განახორციელე, 3. შეამოწმე, 4. განავითარე. გარე შეფასების სისტემა მოიცავს გარე კონტროლის სისტემას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პერიოდულ მონიტორინგს (6 წელიწადში ერთხელ ავტორიზაციას). დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის პერსონალი, მოსწავლე, მშობელი) სწორ ორიენტირებას სასკოლო გარემოში და სასწავლო პროცესის დაგემვის და წარმართვის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვა.

   ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად შემუშავებული შიდა სასკოლო დოკუმენტების მიხედვით. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალურ ნაწილში, სკოლის შინაგანაწესში, საქმისწარმოების წესში, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგიაში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სკოლის დებულებაში. სკოლის დებულებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მე-4 მუხლი განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის გამოცხადების წესს. მე-8 თავი - აწესრიგებს სასწავლო გარემოს და ზოგად ეთიკურ ნორმებს. დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის მე-11 თავში „დისციპლინის წარმოება და სახეები“. სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობები - შინაგანაწესის

მე-12 თავი. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი, ასევე მოსწავლის მედიაციის წესი. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სხვა დოკუმენტებში. შინაგანაწესის მე-3 თავი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას (სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღებას, წარსადგენ დოკუმენტაციას). მე-7 მუხლი ადგენს შრომითი დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებს. მე-4 თავი აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). მე-5 თავი - აწესრიგებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებს. საკადრო პოლიტიკას არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვის წესი. საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა საჩივირის განხილვის წესი, რომელიც შემუშვებულია „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და განსაზღვრავს საჩივრის განხილვის პროცედურას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს, რომ მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები. სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი. დირექტორის მიერ საჩივრის განხილვა ხდება ერთი თვის ვადაში თუ კანონით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული. გასაჩივრების მექანიზმების შესახებ სკოლას ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც გამოიცემა ბრძანების სახით, შეიცავს გასაჩივრების ვადასა და ადგილს. სკოლას შემუშავებული აქვს საჩივრებისა და განცხადების განხილვის წესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის და ასევე განთავსებულია სკოლის ვებ-გევრდზე. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას, კანიდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში კონკურსის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში და შესაბამისი წესით.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, დაწესებულების მიერ შემუშავებულ შინაგანაწესში წარმოდგენილია პერსონალისა და

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები. გარდა ამისა, შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის თანამშრომლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების წესს, მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში საქმისწარმოების წესს და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს. დაწესებულებაში მოქმედებს საჩივრების განხილვის სისტემა. მოქმედებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე შეიზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველსა და აუცილებლობას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს მედიაციის წესი, რომლის მიზანია მოსწავლეთა შორის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მოხდეს დროული და ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი 3.3.1.5 დაკმაყოფილებულია.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება.
- ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- საჩივრისა და განცხადების განხილვის წესი;
- მედიაციის წესი;
- ტუტორის დებულება;
- კონკურსის ჩატარების წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; კერძოდ, დაწესებულებას ვებ გვერდზე გამოქვეყნებული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები და ორგანიზაციის სტრუქტურა. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ძირითადი ორგანიზაციული მართვის პრონციპებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციების აღწერილობით უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მექანიზმებს. ხარისხის მართვის დოკუმენტაცია კი ითვალისწინებს მოსწავლეებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან რეგულარულ დიალოგს, მათ გამოკითხვას და მიმდინარე პროცესებში ჩართულობას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ პოლიტიკასთან, მის ცვლილებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გასავრცელებლად, სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია ელექტრონული საინფორმაციო დაფა. სკოლას, აქვს სოციალური გვერდი, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია. გამოცემულ ბრძანებებს ადმინისტრაციული მენეჯერი აცნობს დაინტერესებულ პირებს. სკოლა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, რომელიც მიიღო ან მომავალში უნდა მიიღოს, განათავსებს სკოლის ვებ-გვერდზე.

   ინდიკატორი 3.3.2.1 დაკმაყოფილებულია.
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის, სტუქტურული ერთეულების დებულებებითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართვის მექანიზმი.

   ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სკოლაში საჩივრების განხილვის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- პერესონალის მართვის პოლიტიკა;
- სასკოლო სასწავლო გეგმის ხარისხის განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის მართვის პოლიტიკა.
- პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ტუტორების დებულება;
- კათედრის მუშაობის დებულება;
- მშობელთა კლუბის დებულება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია სასკოლო დოკუმენტაციაში გაწერილი რეგულაციებით, შინაგანაწესით და პასუხისმგებლობის გადანაწილებით. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვისათვის სკოლას ჰყავს 2 დაცვის თანამშრომელი, გარდა ამისა მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული დაცვის სამსახურთან- „ალგანი“. სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული.
   დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ ,,შენობა აღჭურვილი უსაფრთხოების ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით, თუმცა „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამატებით საჭიროა ვიდეო-სამეთვალყურეო <u>კამერების მონტაჟი შენობის გარე პერიმეტრზე .</u> სკოლას უდასტურდება კამერების ფლობა, ხოლო მათი მონტაჟი გაწერილი აქვს შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში 01.10.2023-მდე პერიოდში. ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები (შენობის უკანა ფასადის და სკოლის ეზოს მოპირკეთება) . აღნიშნული სამუშაოების დასრულება სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის გეგმაში. კერძოდ: 2023 წლის 15 სექტემბრამდე გათვალისწინებულია მიმდინარე სარემონტო/მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება“. **აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოდგენილ მიღება-ჩაბარების აქტებს (სკოლის გარე ფასადის, ეზოს მოპირკეთების სამუშაოებისა და შენობის ვიდეოკამერებით აღჭურვის შესახებ), საიდანაც ჩანს, რომ სკოლაში 14 სექტემბერს დასრულდა ეზოსა და გარე ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები, ხოლო 15 სექტემბერს სკოლის მთელი პერიმეტრი აღიჭურვა ვიდეო კამერებით (სულ -38 ვიდეოთვალის, აქედან გარე პერიმეტრი- 10, ხოლო შიდა პერიმეტრზე-28 ვიდეოკამერებით). ამდენად, საკითხთან დაკავშირებუთ გაცემული რეკომენდაციების შესრულებულია.**
   სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა თანამშრომლობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს რისკების შეფასებას და ადგენს პრევენციულ ღონისძიებებს. სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის

დოკუმენტი. შემუშავებულია ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი", რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები, რათა მათი ზუსტი შესრულებით უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის ჯანმრთელობა. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექიმი და გამოცხადებული აქვს ვაკანსია მეორე ექიმის დასაქმების მიზნით, jobs.ge-ზე. სამედიცინო პერსონალი საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად.

დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ ,,<u>**სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.** შენობა -ნაგებობის მდგრადობის შეფასებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით (25/08/2023 მიწერილობა N4/9) სკოლამ მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს .</u> შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში <u>01.10.2023-მდე გათვალისწინებული აქვს აღნიშნული დასკვნის წარმოდგენა."</u> **<u>საკითხთან მიმართების სკოლამ კვლავ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შენობის მდგრადობის მოპოვების ვადად განსაზღვრულია 31/12/2023.</u>**

სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი. განსაზღრულია სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის კონტროლის მექანიზმები. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით. სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი. ასევე, დამტკიცებულია ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების წესების დოკუმენტი.

დასკვნის პროექტში ნათქვამი იყო, რომ ,,<u>**სკოლას არ აქვს** დასკვნა</u> **შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ". საკითხთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის ერთწლიანი გეგმა, სადაც გაწერილია დასკვნის მოპოვების ვადები (07/09/2023-31/12/2023). შესაბამისი დასკვნის მომზადების**

მიზნით (08/09/2023 მიწერილობა N4/11) სკოლამ მიმართა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამახურის უფროსს.

სკოლამ მიიღო რეკომენდაცია : შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ვადებში მოიპოვოს: დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდკატორი 3.4.1.1მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანებით დამტკიცებულ №06/ნ ბრძანების შესაბამისად შემუშავებულია სპეციალური წესის პროექტი. პროექტი მოიცავს ინფორმაციას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების, ასევე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. **ვიზიტის პერიოდში წესი არ იყო დამტკიცებული, რადგან სკოლა აწარმოებდა მიმოწერას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რათა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მოეხდინა რეგულაციის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და დამტკიცება (06.07.2023, №4/2 წერილი ვაკე საბურთალოს რაიონის საგანმანათლებო რესურსცენტრის უფროსთან). სკოლამ შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით 31.12.2023-მდე პერიოდზე გაწერა უსაფთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცება.**

ინდიკატორი 3.4.1.2 მეტწილ შესაბამისობაშია.

3. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების მიზნით, სკოლის სტრუქტურა ითვალისწინებს ფსიქოლოგის პოზიციას. შემუშავებული შიდასასკოლო რეგულაციები ორიენტირებულია პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებაზე. სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად, ტუტორები ჩაატარებენ სადამრიგებლო საათს, რომლის ფარგლებშიც ისინი ასაკის შესაბამისად იმუშავებენ შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. ამასთან, სკოლას მიაჩნია, რომ ცალკეული რეგულაციების შემუშავებით მიზანი ვერ მიიღწევა და ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართვის სტილით, რომელის დამკვიდრებასაც სკოლა გეგმავს. სკოლაში ასევე შემუშავებულია სპეციალური ინსტრუმენტები - კითხვარები, რომელთა მეშვეობით სკოლა აპირებს, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების მხრიდან მოხდეს პერიოდული უკუგების მიღება.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულია დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. სკოლაში განსაზღვრულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე ზედამხედველი პირი, რომელიც აღწერს სკოლაში არსებული სამეურნეო საქონლის მარაგებს და ადგენს შევსების საჭირებას. აღნიშნული პირი დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებზე გასცემს საჭირო ინვენტარსა და სანიტარული ნორმების დასაცავად საჭირო ქიმიურ საშუალებებს. სკოლის ექიმი (დასტურდება ექიმის სამოქმედო გეგმით) ზედამხედველობას გაუწევს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესრულებას. სკოლის დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწვდიან ინფორმაციას დალაგების წესის, გამოსაყენებელი ხსნარების, დასუფთავების რეჟიმის, ნარჩენების მართვისა და სხვა დაკავშირებული დეტალების შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, რომელიც ეხება სკოლასთან ურთიერთობაში მყოფ ყველა პირს (პერსონალი, მოსწავლე, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი) და შესაბამისობაშია ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედ სპეციალური კანონმდებლობასთან.

სკოლა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ჩარჩოებში პერსონალური მონაცემების დამუშავებას განიხილავს, როგორც მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს. იდენტიფიცირებულია და აღწერილია პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები და წესი. სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, ბიომეტრიულ ინფორმაციას და სხვა. სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია იმ პირთა ვალდებულებები, რომლებსაც უწევთ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება. სკოლასა და მშობელს შორის, ასევე სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია შესაბამისი მუხლი,

რომლის საფუძველზეც მხარები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. მესამე პირების მიერ პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დაცვის მექანიზმები, რომელიც ვრცელდება შემდეგ სფეროებზე: დაწესებულებაში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია; პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას. განსაზღვრულია ინფორმაციის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები და მექანიზმები. განსაზღვრულია იმ თანამდებობათა ჩამონათვალი, რომლებსაც ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მონაცემებზე, ასევე დადგენილია სკოლის შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით დაშვების სისტემის წვდომაზე უფლებამოსილი პირები, განსაზღვრულია მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე წვდომაზე, სკოლაში დამუშავებულ მონაცემების წვდომაზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა კანონიერი დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება მისი საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი. სკოლა ახალი სუბიექტია, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში გამოთქვამს მზადყოფნას განახორციელოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- უსაფრთხოების პოლიტიკა;
- დაცვის თანამშრომლის ხელშეკრულება;
- დაცვის მომსახურებაზე ხელშეკრულება;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაგზავნილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაგზავნილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანებები;
- სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვასა და სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე ზედამხედველი პირის განსაზღვრის ბრძანება;
- შინაგანაწესი;
- სამედიცინო დახმარების წესი;
- ექიმის ხელშეკრულება;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება.
- მიღება-ჩაბარების აქტი ,, სკოლის ეზოს და გარე ფასადის მოპირკეთების სამუშაოების შესახებ“ 14/09/2023
- მიღება -ჩაბარების აქტი ,, შენობის ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვაზე“ 15/09/2023

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საკუთრებაშია ბესარიონ ჟღენტის ქ. N37-ში მდებარე 10658 კვ/მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (N1 და N2 ; საერთო ფართით - 5964,87 კვ.მ). სკოლაში სულ არის 48 საკლასო ოთახი და დამატებით ოთახები განაყოფებისთვის. სკოლის ბალანსზეა-1200 ცალი მერხი. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი, ღია და დახურული სპორტული მოედნები, საცურაო აუზი. გარდა ამისა, სკოლაში არის ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები, ბადმინტონის ჩოგნები, სახტუნაო ტომრები, ჰულა ჰუპები, კეგლები, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფები და სხვა სპორტული ინვენტარი. სკოლაში ასევე არის კომპიუტერული კლასი,

ბიბლიოთეკა და საბუნებისმეტყველო ლაბოლატორია. ვიზიტის დროს სკოლაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. კერძოდ, ეზოსა და გარე ფასადის მოპირკეთება, ხოლო შიდა სივრცის დალაგება დასუფთავება. ვიზიტის დროს მომდინარეობდა ბიბლიოთეკისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისი ავეჯით და ინვენტარით.

სკოლის საკუთრებაშია ჯამში 48 კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ნაწილი კი სკოლის სხვადასხვა სარგებლობის სივრცეებში. სკოლას აქვს პრინტერები/ქსეროქსები, 1 პროექტორი, 10 ტელევიზორი, სკოლის სხვადასხვა ნაწილში (ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სხვა) განთავსებულია ჭკვიანი დაფები, ჯამში 15 ცალი;

ინდიკატორი 3.5.1.1დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში გარდა სამუშაო სივრცეებისა, არის საერთო სარგებლობის სივრცეები. დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით და ლაბორატორიებით სარგებლობის წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სარგებლობის წესის თანახმად, სკოლის ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობს განრიგი -ყოველდღიურად 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. სკოლას ჰყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები ხელს შეუწყობს სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო და ექსპერიმენტული მუშაობის ორგანიზებას. სკოლას განსაზღვრული აქვს, რომ უზრუნველყოფს მოსწავლეებს/თანამშრომლებს კვებით. სკოლაში განთავსებულია ბუფეტი, სადაც ყოველდღიურად მომზადდება საკვები სპეციალურად შედგენილი რაციონისა და გრაფიკის მიხედვით.გაწერილია, რომ სასკოლო კვების ორგანიზებისას გაითვალისწინებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N410 ბრძანებით გათვალისწინებული სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციები.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერებითა და მმართველ გუნდთან გასაუბრებით, დგინდება, რომ სკოლაში ყველა პირობა იქმნება იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ჰქონდეს კომფორტული სასწავლო გარემო და იყოს უზრუნველყოფილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობით. სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს ШМ პირთა ინტერესები. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სართულებზე გადასაადგილებლად, კი სკოლას აქვს მოძრავი პანდუსები. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები ყველა სართულზე. სკოლის

საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს დიდი ეზო, რომელიც გამწვანებულია და დამატებით მიმდინარეობს კეთილმოწყობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით ეზოს კეთილმოწყობა დასრულდება 2023 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდში. ვიზიტის პერიოდში სკოლის დერეფნებში ეწყობოდა თავისუფალი სივრცე კომფორტული დასაჯდომებით, რომელიც მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთგვარ შეკრების ადგილი იქნება. ამავდროულად სკოლის მაკეტისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა რომ შენობებს შორის კეთდება ორანჟერეა, სადაც მოსწავლეები მოუვლიან სხვადასხვა მცენარეს, დააკვირდებიან ზრდა-განვითარების პროცესს ჩაატარებენ ცდებს და სხვა. პირველკლასელი მოსწავლეებისთვის სკოლას ცალკე აქვს გამოყოფილი სივრცე ეზოში, სადაც მოწყობილია კულინარიული კუთხე.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება სავალდებულო გაკვეთილებისა და დამატებითი მომსახურების შეუფერხებელი მიწოდება. საკლასო ოთახების ნაწილი მოწყობილია ინოვაციური სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნებისთვის, არასტანდარტული ფორმით, რაც ემსახურება თანამედროვე, უშუალო სასწავლო გარემოს ფორმირებას და საგაკვეთილო პროცესის განსხვავებულად წარმართვას. ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა ბიბლიოთეკის და სამკითხველო სივრცეების მოწყობის, ასევე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესყიდვის პროცესი, მოლაპარაკებები ლაბორატორიის აღჭურვილობის, მათ შორის, ვირტუალურ-რეალური ლაბორატორიის კომპლექტის შესყიდვის მიზნით.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერები უძრავი ქონების რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის სქემა;

- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი (სკოლის ინვენტარის ჩამონათვალი);
- სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის დებულება;
- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
- რეაქტივების შესყიდვის დოკუმენტები;
- დომენის/ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება;
- ელ.-ჟურნალის მომსახურების ხელშეკრულება;
- წიგნადი ფონდის შესყიდვის დოკუმენტები;
- საევაკუაციო გეგმა;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- გრიფირებული/წიგნების სახელმძღვანელოების შესყიდვის დოკუმენტები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის საკუთრებაშია ჯამში 48 კომპიუტერი/ლეპტოპი, რომელთა დიდი ნაწილი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას აქვს პრინტერები/ქსეროქსები, 1 პროექტორი, 10 ტელევიზორი, სკოლას მომსახურების ხელშეკრულება აქვს IT მომსახურებაზე, რომლის ფარგლებში შესაბამისი პირები საჭიროებისამებრ დაეხმარებიან სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფენ კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არის უსადენო ინტერნეტქსელი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

   ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია
2. სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ჩატარდება გაკვეთილები. ჭკვიანი დაფები გამოიყენებული იქნება როგორც საგაკვეთილო პროცესის დროს, ისე სხვადასხვა ღონისძიებების მიმდინარეობისას. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, კომპიუტერული ტექნიკის მომხმარებელი უფლებამოსილია შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე; მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ელექტრონული ფოსტითა და სკოლის ვებ-გვერდით; მომხმარებელი უფლებამოსილია იმუშაოს სასწავლო პროგრამაზე; დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის. კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის ჭკვიანი დაფები, განთავსებულია ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია საჭიროებისამებრ.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი (სკოლის ინვენტარის ჩამონათვალი);
- IT მომსახურების ხელშეკრულება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციაში დოკუმენტბრუნვის პროცესებს. წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს დოკუმენტაციის მიღების, შესრულების, გაგზავნის, აგრეთვე, მმართველობითი ხასიათის აქტების - ბრძანებების, ხელშეკრულებების და სხვა ტიპის საქმიანი დოკუმენტების აღრიცხვის და მასთან დაკავშირებული საქმიანობის წესებს. კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება შემოსული და გასული კორესპოდენციის, მმართველობითი ხასიათის და კოლეგიური ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/ოქმების და გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია. შემოსულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან, ორგანიზაციებიდან (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), დაწესებულებებიდან, საერთაშორისო

ორგანიზაციებიდან, უცხო სახელმწიფოებიდან, განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტების სახით; ასევე ფიზიკური პირების წერილები, საჩივრები, განცხადებები. გასულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც გადის სკოლიდან განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტებისა და ცნობების სახით. სკოლის შიდა დოკუმენტაცია წარმოადგენს სკოლის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შექმნილ სხვადასხვა ტიპის აქტებს - ბრძანებებს, წერილებსა და შრომით ხელშეკრულებებს. დირექტორის გადაწყვეტილებები გამოიცემა ბრძანების სახით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორის ბრძანებების სახეები: მოსწავლეები ბრძანებები; საერთო ბრძანებები. ბრძანებები ინომრება კალენდარული წლის განმავლობაში, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. საქმისწარმოების წესის შესაბამისად, დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს: მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი; შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი; შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი; საქმისწარმოების ჟურნალები დანომრილია, აკინძულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვის მიზნით, სკოლას მომსახურების ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სუს სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსთან (09.08.2023 წერილი N 4/6 Eflow სისტემის დანერგვაზე). სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს ადმინისტრაციული მენეჯერი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchool-ს სისტემის მეშვეობით. ინფორმაციის და კორესპოდენციის მისაღებად სკოლაში გამოიყენება ელექტრონული ფოსტა info@greenschool.org.ge. სკოლის თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ელექტრონული ფოსტა. ვიზიტის პერიოდში საქმისწარმოება სკოლაში ხორციელდებოდა მატერიალური სახით. **სკოლას შესაბამისობის ერთწლიანი გეგმით, 15.10.2023 -მდე პერიოდში, გაწერილი აქვს სკოლის მართვაში გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, ამათან რისკის დადგომის ალბათობა უმნიშვნელოა.**

ინდიკატორი 3.6.2.2 მეტწილი შესაბამისობით ფასდება.

3. შპს ,,მწვანე სკოლა საბურთალოს“ არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, შესაბამისად, სკოლას არ აქვს სრულყოფილად წვდომა ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და ავტორიზებული დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემდეგ აცხადებს მზაობას შექმნას სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ამ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება**
4. სკოლა აქტიურად თანამაშრომლობს ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და მისი დახმარებით ამყარებს კომუნიკაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შესაბამისი ნებართვების მოპოვების თუ გარკვეული საკითხების შესათანხმებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ,,მწვანე სკოლა საბურთალო“ არ არის ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რაიმე სახის ანგარიშგება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან არ მომხდარა. ამასთან, სკოლა ინფორმირებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მოიაზრებს და გეგმავს თანამშრომლობას ყველა უწყებასთან, სკოლის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ორგანიზაციის განვითარების მიზნით. **ინდიკატორი 3.6.2.4 დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- ადმინისტრაციული მენეჯერის ხელშეკრულება;
- წერილი Eflow - სისტემაში ჩართვასთან დაკავშირებით;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს აქვს ვებ-გვერდი: www.gschool.edu.ge, ასევე, სოციალური ქსელის გვერდი (FACEBOOK), სადაც განთავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
   ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.
2. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ და საკონტაქტო ინფორმაცია არის სანდო და უტყუარია.სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე.
   ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.
3. ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის მიწოდების გამოცდილება დღეისათვის სკოლას არ აქვს, თუმცა, გეგმავს არაფორმალური განათლების მიწოდების სერვისის გამოცდილება განავრცოს ზოგადსაგანმანათლებლო სერვისზე და მიღებული უკუკავშირი გამოიყენოს სკოლის საქმიანობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; სკოლისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი. იგი მზადაა მაქსიმალურად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნები. დაგეგმილია გამოკითხვა მოსწავლეებს/მშობლებს/მასწავლებლებს შორის, რათა კონკრეტული მოსაზრებების საფუძველზე გამოვლენდეს სკოლის ეფექტური საქმიანობისათვის აუცილებელი საჭიროებები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის წესი (კომუნიკაციის სტრატეგიები)
   ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია.
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი: www.gschool.edu.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. საგანმანათლებლო პროცესი სკოლაში წარიმართება ქართულ ენაზე.
   ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ვებ-გვერდი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელთა გაცნობითაც შესაძლებელია სკოლაზე წარმოდგენის შექმნა და შიდა მარეგულირებელი წესების გაცნობა. კერძოდ: მისია, ხედვა, ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამის სახელწოდება, ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; საკონტაქტო ინფორმაცია; შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილები (მაგ: კალენდარი, დღის რეჟიმი, შეფასების ნაწილი და ა.შ. დამატებითი მომსახურებები, რომლებსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს; სიახლეები; დამხმარე ლინკები და სხვა ინფორმაცია, რომელსაც სკოლა საწიროდ თვლის.

ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სოციალური ქსელი;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება(კომუნიკაციის სტრატეგიები)
- ელექტრონული ჟურნალის მომსახურების შესყიდვა;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია)

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან სრულყოფილად განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა. სკოლის ძირითადი შემოსავალი არის მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მათი მხრიდან გადახდილი სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. ფინანსური მენეჯერი ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში ითვალისწინებს სავარაუდო შემოსავლებს და ხარჯებს, სკოლის პრიორიტეტებს. სკოლის ბიუჯეტი იმგვარად არის შედგენილი, რომ შესაძლებელია სკოლის მიერ დასახული სამოქმედო გეგმის განხორციელება. კერძოდ, ბიუჯეტი მოიცავს საგანმანათლებლო თუ მატერიალური რესურსებისათვის აუცილებელ თანხებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის, წახალისებისათვის, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე შესაძენი რესურსებისათვის საჭირო ფინანსებს და სკოლის მიერ გასაწევ სხვა ხარჯებს, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და ხარისხიანად წარმართვისათვის.

   ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.
2. ფინანსური დაგეგმვის პროცესი ძირითადად ეყრდნობა პროგნოზებს, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს ბიუჯეტის გადახედვისა და მასში ცვლილებების შეტანის საკითხი. სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს ფინანსური მენეჯერი. ის მონიტორნგს უწევს ბუღალტრის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური და ბუღალტრული პოლიტიკის დაგეგმვას, მართვასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

   ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ბიუჯეტი;
- მშობლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები: შინაგანაწესი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური

გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, ელექტრონული პროგრამის (Zoom) გამოყენების შემთხვევაში. სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს საკითხს-,,მოსწავლეთა უფლებებსა დაცვა სასწავლო პროცესში", სადაც ნათქვამია, რომ სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის; სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით; სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან; სკოლის მოსწავლე სარგებლობს მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი; მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები; სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ სკოლის აქვს მზაობა უზრუნველყოს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებგვერზე www.gschool.edu.ge, და შენობის ფოიეში არსებულ მონიტორზე. ტუტორის დებულების მიხედვით, ტუტორი სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს გააცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას განახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლებები და ურთიერთობის ფორმები.

   წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებეულია სასკოლო საზოგადოებასთან.

   ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, მხარეთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ,

ხელშეკრულების თანხა (სასწავლო გადასახადი) და გადახდის პირობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება და სასკოლო აქტივობები. ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, მხარეთა რეკვიზიტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- ტუტორის დებულება
- მშობელთან/ კანონიერ მეურვესთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის მე-12 თავით განსაზღვრულია ,,სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები", სადაც გაწერილია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესები. შინაგანაწესის თანახმად, პირველ კლასში ბავშვები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკიდან. სკოლაში მიღებამდე მოსწავლეებთან და მშობლებთან ხდება გასაუბრება. გასაუბრებას წარმართავს სკოლის ფსიქოლოგი, რომლის მიზნია მოსწავლის სურვილების და საჭიროებების დადგენა. განსაზღვრულია პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. შინაგანაწესის თანახმად, მობილობა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის N193/ნ ბრძანების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის შესაბამისად. სკოლა უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვამდე, გასაუბრების ან/და გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა შემდგომში ინდივიდუალური მუშაობის მიზნით. მოსწავლეს მობილობაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს სკოლაში მისაღებ მოსწავლეთა ადგილების კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას. სსსმ მოსწავლის ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია უზრუნველყოს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის აყვანა. შინაგანაწესით ასევე რეგულირდება უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერება/აღდგენის წესები და პირობები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით არ იკითხება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის წესები და პირობები. მოსწავლის საფეხურის დაძლევას არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა და შესაბამისობაშიას ეროვნული სასწავლო გეგმის.
   დასკვნის პროექტში ნათქვამი იყო, რომ ,,მოსწავლის სტატუსის შეწყვეტის საკითხს, არ რეგულირდება სკოლის არც ერთი მარეგულირებელი დოკუმენტით" სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (2/7;14/09/2023) განახლებულია შინაგანაწესისი დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი შინაგანაწესის თანახმად, მოსწავლისათვის სტატუსის შეწყვეტა ხდება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33-2 მუხლის შესაბამისად.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. შპს ,,მწვანე სკოლა-საბურთალო" ახალად დაფუძნებულია, ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ჯერ არა აქვს, შესაბამისად ამ **ეტაპზე ვერ ფასდება** თუ როგორ იცავს სკოლა მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს.

3.ტუტორი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, მათ შორის სასკოლო სასწავლო გეგმას, სადაც გაწერილია სკოლის მიერ შეთავაზებული

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებები; ინფორმაცია მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების შესახებ და სხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული რეგულაციები. სკოლის განმარტებით, ინფორმაცია მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამებისა და მათი სპეციფიკის შესახებ პერიოდულად განთავსდება სკოლის ფეისბუქგვერდზე. ასევე, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია სკოლის ვებგვერზე www.gschool.edu.ge, ასევე შენობის ფოიეში არსებულ მონიტორზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორი 4..1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი. სკოლას აქვს ვებგვერდი და სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდი, სადაც მუდმივად გამოქვეყნდება სასკოლო ცხოვრების შესახებ სიახლეები და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულრებელი დოკუმენტები შემუშავებულია შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ტუტორის დებულების თანახმად, კლასის ტუტორები მუდმივ კომუნიკაციაში არიან სადამრიგებლო კლასების მშობლებთან და მიაწვდიან სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას, როგორც ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. ტუტორი, სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადაც გაწერილია ინფორმაცია იმ საგნობრივ პროგრამებზე, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებზე, სხვადასხვა სერვისებზე და სასკოლო აქტივობებზე, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრ. 2/70 ,,შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“
- სკოლის შინაგანაწესი
- ტუტორის დებულება

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დირექტორის N2/ 50 ბრძანება საჯარო ინფორმაციის გამცემი პირის განსაზღვრის შესახებ
- სკოლის ვებგვერდი: www.gschool.edu.ge
- ფეისბუქგვერდი: https://www.facebook.com/greenschoolsaburtalo/

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი". დოკუმენტით განსაზღვრულია პირველკლასელთა, სსსმ მოწავლის და სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლის ადაპტაციის მექანიზმები. სკოლას განსაზღვრული აქვს სწავლის დაწყების პირველ დღეს მოსწავლეთა საზეიმო დახვედრის მექანიზმები. დოკუმენტი მოიცავს წარმატებული ადაპტაციის და დეზადაპტაციის ნიშნებს, განმარტებას და შესაბამის რეკომენდაციებს გაცემის წესებს. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია ყველა დაინტერესებულ პირისთვის ადაპტაციის წესის გაცნობის შესაძლებლობა.
   დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლის ადაპტაციის წესით განსაზღვრული მექანიზმები ხელს შეუწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან უმტკივნეულო ადაპტაციას.

ინდიკატორი 4.2.1.1დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს მზაობა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას. სკოლის მიერ შემუშავებულ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტში ჩანს, რომ სასწავლო წლის პირველი დღე ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება, ასევე სწავლის დაწყების დღიდან პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნა.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს მზაობა დაეხმაროს მოსწავლებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ტუტორს ევალება დაეხმაროს მოსწავლეს აკადემირ თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში, გააკონტროლოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება, დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერეი პრობლემის შესახებ, მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეებს მეცადინეობის დროს, თუ მოსწავლის აკადემიური მოსწრება დაბალია, მიმართოს შესაბამისი საფეხურის აკადემიურ მენეჯერს დამატებითი საათების ჩატარების მიზნით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია, რომ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით სკოლა უზრუნველყოფს სემესტრული გამოცდების ჩატარებას.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. ადმინისტრაციულ მხარდაჭერის მიზნით, სკოლა უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეთათვის, საჯაროდ გამოქვეყნებით ან კიდევ გააცნოს პასუხისმგებლმა პირმა. კერძოდ ტუტორის გააცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სკოლაში

წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებული

5. შპს ,,მწვანე სკოლა-საბურთალო" ახლად დაარსებულია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ამ ეტაპზე არა აქვს და შესაბაისად მოსწავლეებიც არ ჰყავს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი კლუბები და მოსწავლეები ინტერესების გათვალისწინებით ჩააბას არაფორმალურ განათლებაში, რაც დასტურდება შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმით. კერძოდ, სკოლა 2023-2024 სასწავლო წესლ მოსწავლეებს სთავაზობს : ჟურნალისტიკის კლუბი - VII-XII კლასები; ლიტერატურის კლუბი - II-VI კლასები; პროფესიული ორიენტაციის კლუბი - IX-XII კლასები. დამატებითი სავალდებულო საგნის სახით სთავაზობს : რობოტიკა-I-IVკლასები, კოდირება V-VIII კლასები, ჭადრაკი III-VI კლასები, სპორტული აქტივობები (ცურვა/ცეკვა/ჩოგბურთი/ფეხბურთი) -I-VI კლასები, მეტყველების კულტურა I-III კლასები, თეატრალური ხელოვნება, IV-VI კლასები. სკოლას შერჩეული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი, დამატებითი მომსახურეობის გასაწევად. სასკოლო გეგმით ასევე განსაზღვრულია, რომ დამატებითი სერვისები შეთავაზებული იქნება სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. ასევე გათვალისიწნებული იქნება მშობელთა ინტერესებიც.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა როგორ აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას ამ ეტაპზე არ ჩანს, რამდენადაც სკოლა ახლად დაფუძნებულია და ჯერ სასწავლო პროცესი არ განუხორციელებია. თუმცა, სკოლას აქვს მზაობა იკვლიოს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილება, წინასწარშემუშავებული კითხვარების საშუალებით, რომლის შედეგების გათვალისწინებით გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხი.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
2. 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. ტუტორის დებულება
4. კმაყოფილების კვლევის კითხვარები

4.2.2 სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მზაობა, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულების ინფორმირებული იყვნენ სკოლის მოსწავლეები. ამისთვის სკოლა ქმნის პროფესიული ორიენტაციის კლუბს IX-XII კლასებისთვის. სკოლამ წარმოადგინა პროფესიული ორიენტაციის კლუბის დებულება, სადაც გაწერილია კლუბის მიზანი, განხორციელების დრო და მიმდინარეობა, სწავლის შედეგები და კლუბის პროგრამა. კლუბის ფარგლებში ხდება მოსწავლეებთა ინფორმირება პროფესიის არჩევის მნიშვნელობაზე, პროფესიათა მახასიათებლებისა და კონკრეტული პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გააზრებაზე. მოსწავლეები ასევე გაეცნობიან საქართველოში არსებული პროფესიათა სფეროებს, გაიუმჯობესებენ გადაწყვეტილების მიღების უნარს, კარიერის დაგეგმვის პროცესში შეისწავლიან რეზიუმეს (CV) ძირითადი სტრუქტურას და მომზადებას

   ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია
2. სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობებით, რომელებიც განხორციელდება ტუტორის/სადამრიგებლო პროგრამის და პროფესიული ორიენტაციის კლუბის ფარგლებში, შეიძლება ვივარაუდოთ რომ სკოლას აქვს მზაობა, მოსწავლეებს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია პროფესიული და კარიერული დაგეგმვის სიკითხებზე.

   ინდიკატორი 4.2.2.2. დკმაყოფილებულია
4. 3. შპს ,,მწვანე სკოლა-საბურთალო“ ახალად დაფუძლებული სუბიექტია, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ჯერ არა აქვს, კარიერული დაგეგმვის მიმართულებით მომსახურეობა არ განხორციელებულა ამიტომ, **არდამდგარი პროცესის გამო ინდიკატორი ამ ეტაპზე ვერ ფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- პროფესიული ორიენტაციის კლუბის დებულება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები დეტალირადაა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. კერძოდ, როგრო ხდება სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება, სსსმ სტატუსის მინიჭება, სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი ჩამოყალიბება, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება. შემუშავებულია ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი. იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს, სასკოლო სასწავლო გეგმაში პუნქტობრივად ჩამოთვლილია განსახორციელებლი აქტივობები. გარდა აღნშნული რეგულაციებისა, სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი მოიცავს სსსმ მოსწავლის ადაპტაციის საკითხებსაც.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესები, სადაც ასევე გათვალისწინებულია მშობლის ინფორმირება სკოლაში არსებული სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ინკლუზიური განათლების რეგულაციების თანახმად, სსსმ მოსწავლის განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, ტუტორი, მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული

სპეციალისტი/სპეციალისტები და სკოლის ფსიქოლოგი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. სასწავლო წლის დასაწყისში, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდი აწყობს შეხვედრას მასწავლებლებთან, სადაც განიხილავს წლის დასაწყისში განსახორციელებელ სამუშაო გეგმას, ამის შემდეგ ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ისგ ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას. სკოლა ცდოლობს სსსმ მოსწავლისთვის შექმნას მაქსიმალურად ადაპტირებული გარემო. სკოლაში ყველა სართულზე მოწყობი;ია ადაპტირებული სველი წერტილები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ავეჯის. კერძოდ, სადემონსტრაციო მაგიდების დიზაინი საშუალებას აძლევს ეტლით მოსარგებლე პირს თავისუფლად გადაადგილდეს და მონაწილეობა მიიღოს ყველა სახის აქტივობაში.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- ფსიქოლოგის ხელშეკრულება
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4.2.4 სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა)

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვების მომსახურება (1-6კლასები) და გახანგრძლივებული სწავლება. აღნიშნული დამატებითი მომსახურება ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან კანონმდებლობის დაცვით და უფლების მიღების. კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით სკოლას ხელშეკრულება აქვს გააფორმებული შპს ,,ფუდ გრუპ ბიემთან", რომელიც რეგისტრირებულია ეკონომიკურ საქმინობათა რეესტრში და აქვს კვების პროდუქტების წარმოების უფლება, HACCP-ის პრინციპების შესაბამისად.

   ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია
2. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას და კლუბურ მუშაობას. კლუბები შეთავაზებულია არასავალდებულო სახით და მოსწავლეები გაერთიანდებიან ინტერესების მიხედვით. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი, რომლის მიხედვით ადგენს მოსწავლის ინტერესებს და ქმნის შესაბამის კლუბს. გახანგრძლივებული სწავლების შესახებ ინფორმირებულია მშობელი, ხელშეკრულებში გაწერილია ინფორმაცია აღნიშნული სერვისის შესახებ და ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დასტურდება თანხმობა.

   ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია
3. დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, სკოლის კვების ობიექტი მოწყობილია HACCP პრინციპების გათვალისინებით. ასევე სკოლის მხრიდან სკოლის ექიმი გააკონტროლებს სასკოლო კვების ობიექტის კანონმდებლობით დადგენილ

მოთხოვნებთან შესაბამისობას. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

4. **ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მშობლებთან გასაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში
- შპს „ფუდ გრუპ ბიემ" ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან E22125870, 05/10/2022
- შპს „ფუდ გრუპ ბიემ"(სკოლის ბუფეტი/სამზარეულო) დამტკიცებული HACCP-ის სისტემის დანერგვის სახელმძღვანელო
- შპს „ფუდ გრუპ ბიემ"(სკოლის ბუფეტი/სამზარეულო) HACCP-ის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ,,შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტი განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს *(*დაგეგმვა *(*შემუშავება *),* დანერგვა მონიტორინგი და შეფასება *,* გადასინჯვა და რევიზია *)*; პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირებს საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ,სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღსანიშნავია, რომ სკოლა წარმოადგენს ახალ სუბიექტს. ამასთანავე სკოლა შეიქმნა როგორც უკვე არსებული მწვანე სკოლების ქსელის ახალი სუბიექტი. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას მათ ასევე ითანამშრომლეს სასკოლო ქსელში შემავალ სკოლებთან, გაითვალისწინეს მათი გამოცდილება და დაწყებითი საფეხურის მშობლების და მოსწავლეების ინტერესები. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის ინტერესები. გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის მიერ კურიკულუმში მშობლისა და მოსწავლის ინტერესების ასახვის ფაქტი ვერ შეფასდება. პირველ ეტაპზე დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შედგენის დროს შპს ,,მაწვანე სკოლა-საბურთალომ" გაითვალისწინა სასკოლო ქსელში შემავალი სკოლების გამოცდილება და შეიმუშავა 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ჩანს რომ დაწყებით საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მოსწავლეებს დამატებითი სავალდებულო საგნის სახით შეთავაზებული აქვთ: რობოტიკა, კოდირება, სპორტული აქტივობები (ცურვა/ცეკვა/ჩოგბურთი/ფეხბურთი) , მეტყველების კულტურა, თეატრალური და ხელოვნება. გარდა ამისა სკოლის ეზოში კეთდება ორანჟერეა, სადაც მოსწავლეები მოუვლიან სხვადასხვა მცენარეს, დააკვირდებიან ზრდა-განვითარების პროცესს ჩაატარებენ ცდებს და სხვა. პირველკლასელი მოსწავლეებისთვის სკოლას ცალკე აქვს გამოყოფილი სივრცე ეზოში, სადაც მოწყობილია კულინარიული კუთხე. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახოს სასკოლო კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. როგორც ავღნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა ქსელის სხვა სკოლებთან თანამშრომლობით, აგრეთვე სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი არსებული ცოდნაც. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ; მშობლებთან და მოსწავლეებთა) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები, ზოგადად აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, ელექტრონული ფოსტას, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას, სოციალური მედია,

ბეჭვდითი მასალები. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია მშობლებთან და მოსწავლეებთან სასკოლო კურიკულუმის გაზიარების ნაწილი არ ექვემდებარება შეფასებას. ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. სასწავლო პროცესი სკოლაში ჯერ არ მიმდინარეობს, თუმცა ის დაიგეგმა მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, უშუალოდ სასწავლო პროცესში მონიტორინგის შედეგად მასში შევა აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა გამოვლენილ საჭიროებებზე, კლასების რიცხოვნებაზე, სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მასში გათვალისწინებულია კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. (მაგალითად 5-ე კლასში საგანში ,,ჩვენი საქართველო“ მოცემული კომპლექსური დავალება - მოამზადეთ პლაკატი სახელწოდებით - „ქართლი ძველად და ახლა“, ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ამ კომპლექსური დავალების ეტაპობრივად განხორციელებას). კომპლექსური დავალების ბარათებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კათედრების ფუნქციებში გაწერილია კათედრის წევრებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი მუშაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზისას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მიერ ახალშერჩეულ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება. აღწერილიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა .

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სასწავლო პროცესი აგებულია საგნობრივი სამიზნე ცნებების დაუფლებაზე, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას, საგნობრივი კონტექსტები დამუშავდება სიღრმისეულად. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არსებული მატრიცები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხელი შეეწყობა გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (მაგ; 4-ე კლასში საგანში ,,მე და საზოგადოება“ თემაში

,,მედია და ინფორმაცია"-მოაწყვე „თოქ-შოუ", სადაც მოსწავლეები ტელევიზიაში მომუშავე სხვადასხვა პროფესიის ადამიანების როლს მოირგებენ. მიემართება ცნებას ,,ინსტიტუცია", მითითებულია შესაბამისი ქვეცნებებიც). საბუნებისმეტყველო მიმართულებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები (2 კლასში „ ხმელეთის ზედაპირის მრავალფეროვნება." , 3 კლასში „ ნიკა და შველი" , 4 კლასში „ მოგზაურის დღიური", 5კლასში „მზის სისტემის პლანეტები"), ისეა აგებული რომ იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და კომუნიკაციის განვითარების საშუალებას. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები, გააკეთონ დასკვნები, ითანამშრომლონ თანაკლასელებთან, შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები- მოდელი, ფოტოკოლაჟი, პოსტერი და ნამუშევარი წარადგინონ კლასის წინაშე. დაწყებით საფეხურზე შეთავაზებული კოდირების, რობოტიკა, სპორტული აქტივობები, მეტყველების კულტურის და თეატრალური ხელოვნების კურსი მოსწავლეებს დაეხმარება ემოციური ინტელექტის გაღრმავებაში, მეტყველების, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების ჩამოყალიბებაში.

წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა მოსწავლეების განუვითარებს სოციალურ და პიროვნულ თვისებებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. ამ ეტაპზე დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იქნება მრავალფეროვანი დავალებები, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლების ტრენინგები და სხვა სკოლებში მუშაობით აქვთ ამის გამოცდილება. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სასავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ახლა დაფუძნდა. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება, თუმცა მასწავლებელებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას სწორად აქვს გააზრებული როგორ დააგროვებს და შემდგომში გამოიყენებს დაგროვილ გამოცდილებას, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს ამ პროცესში, როგორ წარმართავს ამ პროცესს. ერთ-ერთ ინსტრუმეტად სკოლას მოაზრებულია აქვს დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, მიღებული შედეგების ასახვა მომდევნო წლის კურიკულუმებში. ასევე მასწავლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა აქტიურად ითანამშრომლებს თავისივე ქსელის სხვა სკოლებთან გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ინსტრუმენტები
- კათედრების დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ამასთანავე, როგორც დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს არაფორმალური განათლების აქტივობებს: კლუბებს, პროექტებს, სასწავლო - შემეცნებთ ვიზიტებს. არაფორმალური აქტივობები დაინერგება სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ განხორციელებული მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის შედეგად. აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად იქნება ჩართული დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ სხვა სკოლებში მუშაობის საფუძველზე აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივიზმის 5 პრინციპის, კერძოდ მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების განხორციელების გზით

შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. განხორციელებული კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ფოტოკოლაჟი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. აღწერილიდან გამომდინარე, სასკოლო გარემომ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლას აქვს მზაობა რომ მომავალის სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი დააფუძნოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. ყოველი მოსწავლე აღიქმება, როგორც ინდივინდი და გათვალისწინებული იქნება მისი საჭიროებები. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ კვლევის შემდეგ გამოიკვეთება მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად აიგება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დამატებით. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან ირკვევა, სასწავლო პროცესში განხორციელდება კომპლექსური დავალებები, რასაც დაემატება სასკოლო სოციალური პროექტები, ინტერაქტიური აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეს მიეცემა საშუალება გამოავლინოს ყველა არსებული უნარი და შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება მოსწავლეების მიერ საკუთარი სწავლისა და თვითორგანიზების უნარის მართვის სტრატეგიები. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა როგორც ფორმალურ საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების დროს მოსწავლეებს გამოუმუშავებს საქმიანობის დაგეგმვის და მონიტორინგის უნარს, სასწავლო პროცესში გამოიყენებს სწავლის სწავლის მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლას დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის უკვე შეთავაზებული აქვს რამდენიმე დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. დაწყებით საფეხურის კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებების მატრიცებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები მოსწავლეებს მისცეს სამივე კათეგორიის ცოდნის მიღების და გამოყენების შესაძლებლობას. (მაგ; 6-ე კლასის საგანში ,,ჩვენი საქართველო“ თემატურ მატრიცაში არსებული კომპლექსური დავალება მოამზადეთ კატალოგი სახელწოდებით - „სამცხე-ჯავახეთის კულტურული მემკვიდრეობა“. კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებაში ცოდნის სამი

კატეგორიის გამოყენების მაგალითები შესაბამისი კითხვების მეშვეობით). სასწავლო პროცესში შეძენილი თეორიული ცოდნა დაკავშირებულია პრაქტიკულ გამოყენებასთან.

სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. დაწყებით საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, მათ გაცნობიერებული ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. ((მაგ; 3-ე კლასის საგანში ,,მე და საზოგადოება“ კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების - შექმნით დასურათებული წიგნი სათაურით - „ჩემი ოჯახის ტრადიციები“- მოსწავლე შეადგენს ელექტრონულ პროდუქტს, სადაც ის გამოიყენებს ისტ სასწავლო საგანში შეძენილ ცოდნას, ამასთანავე აქტიურ კავშირს დაამყარებს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მიეცემა ცოდნის ტრანსფერის საშუალება). საგნობრივი კავშირების დამყარების პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლეთა არსებულ ცოდნაზე, გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების ინტენსიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, სამიზნე ცნებისა და თემის მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვები ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. კათედრას შემუშავებული აქვს შემაჯამებელი დავალების ფორმები, რომლებიც ასევე ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილი თემატური მატრიცები აგებულია ,,ახალი სკოლის" მოდელის ფარგლებში შექმნილი ფორმის მიხედვით. შესაბამისად გათვალისწინებულია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (მაგ; 5-ე კლასის საგანში ,,ჩვენი საქართველო" მოქალაქეობის კომპლექსური დავალება - მოამზადეთ საინფორმაციო ბროშურა სახელწოდებით - „იმერეთის კულტურული მემკვიდრეობა"-ითვალისწინებს სამიზნე ცნებას ,,საზოგადებას", შესაბამის ქვეცნებას და მკვიდრ წარმოდგენებს). მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. დაწყებითი კათედრის წევრ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეებისთვის არა მარტო ცოდნის გადაცემის აუცილებლობა, არამედ მათი პიროვნული განვითარების ფაქტორები, რაც გამოიხატება მოსწავლეებისათვის ისეთი დავალებების მიწოდებას, ისეთი მეთოდებით საკითხების დამუშავებას, რომლებიც აგებულია მოსწავლეების თანამშრომლობაზე, მასწავლებლებთან აქტიურ კომუნიკაციაზე. მათ შორის

მოიაზრება კომპლექსური დავალებებიც. სკოლის ეზოში ეწყობა სივრცეები, მაგ, მოსწავლეთა სამზარეულო, ორანჟერეა, რომლებიც ასევე ხელს შეუწყობენ მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. სასკოლო გარემოს დათვალიერებამ, მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებში ასევე წარმოდგენილი იყო ზოგადი ფორმულირების აქტივობებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკითარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.შპს „მწვანე სკოლა - საბურთალო“ შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, რაც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა აქტივობების მიხედვით შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და დამტკიცება მოხდება საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის მოხდება მასწავლებლების მიერ. სკოლაში მოქმედ მშობლეთა კლუბის და ასევე მშობლებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა გეგმავს მათთან სასწავლო და სააღმზრდელო საკითხებზე შეხვედრებს. მასწავლებლებთან და დირექციის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ შეფასების საკითხიც იქნება მათთან ერთად განხილული. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებაში კი ისინი მოიაზრებენ შემდეგს: მოსწავლეებს ეცოდინებათ და გააზრებული ექნებათ კრიტერიუმები, მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. სანდოობა კი უზრუნველყოფს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალებისთვის.

აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. შპს „მწვანე სკოლა- საბურთალომ“ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც აღწერილია როგორ დარეგულირდება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია ვერიფიკაციის არსი და მიზნები, ვერიფიკაციის მექანიზმი და განხორციელების ეტაპები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის დასკვნითი პროცედურა, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ორგანიზებით. ჯგუფის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის პროექტი გაეგზავნება სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ჯგუფთან ერთად ადგენს შესასრულებელი რეკომენდაციების გეგმას. საბოლოო დასკვნა - ვერიფიკაციის შედეგების შესახებ წარედგინება სკოლის დირექტორს რეაგირებისათვის. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. აღნიშნული დოკუმენტი საშულებას მისცემს დაადგინონ შეფასების ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა და სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6…შპს „მწვანე სკოლა - საბურთალოს“, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ჩანაწერი , რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 (სამი) წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები
- მშობელთა კლუბის დებულება

- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კონცეფცია ითვალისწინებს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, რაც აკადემიური წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მასწავლებლები იზრუნებენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება და მოსწავლის მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოსწავლეები თავიანთი ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით ჩართულები იქნებიან არაფორმალურ განათლების სხვადასხვა აქტივობებში, რომელთაგან ზოგიერთი სკოლას უკვე შექმნილი აქვს, ხოლო სხვებს შექმნის სასწავლო პროცესის დაწყების პარალელურად სწორედ მოსწავლეების ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და თანამშრომლობითი გარემოს დასამკვიდრებლად სკოლას შექმნილია აქვს შესაბამისი დოკუმენტები. (სკოლის მისია, საგნობრივი პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმა)
წარმოდგენილი დოკუმენტებით (სკოლის მისია, საგნობრივი პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლა აცხადება მზაობას, სასწავლო პროცესში შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი კათედრის მასწავლებლებთნ გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ სუბიექტს. მასწავლებლები მოსწავლეს გაუწევენ ყველა სახის დახმარებას, რაც მათ დაეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში. ამადროულად მასწავლებლები ეცდებიან დახმარების თანდათანობით შემცირებას, რათა მოსწავლემ თავად შეძლოს სირთულეებთან გამკლავება. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის

მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს აძლევს მეტაკოგნიციის და თვითრეგულაციის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის დებულით და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურა მიიღწევა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზით, მოსაზრებების გაზიარებით. აგრეთვე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც დაწყებითი კათედრის ფარგლებში, ასევე კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობა და გუნდურობა იქნება სკოლის ატმოსფეროს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4.. 2023-2024 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ პოზიტიური კლიმატის შექმნას ხელს შეუწყობს როგორც ოფიციალური, ასევე ფარული კურიკულუმი. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მრავალფეროვან აქტივობებს, რისი გამოცდილებაც უკვე აქვთ ამ სკოლის სხვა ფილიალებს. მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებში სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს დაცული და თავს გრძნობდეს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.

ინდიკატორი 2.2.3.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებით საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4.სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრები გეგმავენ კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით

ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, ასევე გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინონ გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა).

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება, მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე

დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები, სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის ,,ავტონომიური ბუნება" და ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგოები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირების არეალი ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურისკურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ,,შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. დოკუმენტი განსაზღვრავს: კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს; პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი; კურიკულუმის განვითარების ეტაპებს *(*დაგეგმვა *(*შემუშავება *),* დანერგვა მონიტორინგი და შეფასება *,* გადასინჯვა და რევიზია *)*; პროცესში ჩართულ მხარეებს და საზოგადოების ინფორმირებს საშუალებებს. დოკუმენტიდან ჩანს, რომ ერთ-ერთი პრინციპი რომელსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარება მუდმივმოქმედი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და სკოლის დირექცია. აღწერილია თითოეული ჩართული მხარის ფუნქცია-მოვალეობები. სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან

ერთად, სკოლისთვის მნიშვნელოვანია მათი ინფორმირება და უკუკავშირი. ამისათვის სკოლა გამოიყენებს სხვადასხვა საშუალებებს. კერძოდ,სკოლის ვებგვერდს, ელექტრონული ჟურნალს, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, სოციალური მედიას, საჯარო ღონისძიებებს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. აღსანიშნავია, რომ სკოლა წარმოადგენს ახალ სუბიექტს. ამასთანავე სკოლა შეიქმნა როგორც უკვე არსებული მწვანე სკოლების ქსელის ახალი სუბიექტი. ამ ეტაზე კურიკულუმის შემუშავება განხორციელდა საგნობრივ კათედრებზე, რომლებიც შემდეგ გაერთიანდა სხვა კათედრების მიერ შექმნილ კურიკულუმებთან და შეიქმნება სასკოლო კურიკულუმი. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა შეხვედრის დროს აღნიშნეს, კურიკულუმების შედგენისას მათ ასევე ითანამშრომლეს სასკოლო ქსელში შემავალ სკოლებთან, გაითვალისწინეს მათი გამოცდილება და საშუალო საფეხურის მშობლების და მოსწავლეების ინტერესები.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით კურიკულუმში ასახულია კათედრების/მასწავლებლების, დირექციის ინტერესები. გამომდინარე იქიდან რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, სკოლის მიერ კურიკულუმში მშობლისა და მოსწავლის ინტერესების ასახვის ფაქტი ვერ შეფასდება. პირველ ეტაპზე საბაზო საფეხურის კურიკულუმების შედგენის დროს შპს ,,მაწვანე სკოლა-საბურთალომ“ გაითვალისწინა სასკოლო ქსელში შემავალი სკოლების გამოცდილება და შეიმუშავა 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სადაც ჩანს რომ საშუალო საფეხურზე სავალდებულო საგნებთან ერთად მოსწავლეებს დამატებითი კლუბების სახით შეთავაზებული აქვთ: ჟურნალისტიკის და პროფეიული ორიენტაციის კლუბები. მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესებით დასადგენად სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი სკოლას დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ასახოს სასკოლო კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის,სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო საგნობრივი კათედრები და დირექცია. როგორც ავღნიშნეთ, ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიაციის რეჟიმიშია. კურიკულუმები უმეტესწილად შეიქმნა ქსელის სხვა სკოლებთან თანამშრომლობით, აგრეთვე სამინისტროს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო მასალებით, მასწავლებლებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თავიანთი არსებული ცოდნაც. სკოლა მზადაა სასწავლო პროცესის დაწყების

შემდეგ სასკოლო საზოგადოებასთან (მაგ; მშობლებთან და მოსწავლეებთა) აქტიურ თანამშრომლობით შეიტანონ გარკვეული ცვლილებები, ზოგადად აქტიური ინტერაქცია ჰქონდეთ სასკოლო საზოგადოებასთან.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4.კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობასთან ერთად, საჭიროა მათი ინფორმირება და უკუკავშირი, რისთვისაც სკოლა გამოიყენებს საკომუნიკაციო არხებს: ვებგვერდს, ელექტრონული ფოსტას, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას, სოციალური მედია, ბეჭვდითი მასალები. ხოლო იმისათვის, რომ სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების წევრებს გაუჩნდეთ მიკუთვნებულობის განცდა, სკოლა გამოიყენებს საჯარო ღონისძებებს-ინტერაქტიულ ორმხრივ კომუნიკაციას აუდიტორიასთან/სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმების შემუშავებაში ჩართული იყო სკოლის ყველა მასწავლებელი და დირექცია, შესაბამისად მათ მიერ ის უკვე გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია მშობლებთან და მოსწავლეებთან სასკოლო კურიკულუმის გაზიარების ნაწილი არ ექვემდებარება შეფასებას. ყოვლივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- საბაზო საფეხურის კურიკულუმი
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს შეუწყობს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას. სასწავლო პროცესი სკოლაში ჯერ არ მიმდინარეობს, თუმცა ის დაიგეგმა მოსწავლეების ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, როგორც კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, უშუალოდ სასწავლო პროცესში მონიტორინგის შედეგად მასში შევა აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც მორგებული იქნება მოსწავლეთა გამოვლენილ საჭიროებებზე, კლასების რიცხოვნებაზე, სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები აგებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, მასში გათვალისწინებულია კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. (მაგ; 10 -ე კლასში სამოქალაქო განათლებაში მოცემული კომპლექსური დავალება - ვიდეორგოლის/ბროშურის შექმნა მოქალაქეობის არსისა და მნიშვნელობის შესახებ - ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ამ კომპლექსური დავალების ეტაპობრივად განხორციელებას). კომპლექსური დავალების ბარათებში(„ქიმიური ბმები და მისი მნიშვნელობა ცოცხალი ორგანიზმებისთვის“, „საცურაო აუზის ქიმია“, „მიტოქონდრიის მოდელის შექმნა“, „ელექტროსკოპის მოდელის შექმნა“)წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კათედრების ფუნქციებში გაწერილია კათედრის წევრებს შორის კოორდინაცია და ერთობლივი მუშაობა შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის ანალიზისას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლის მიერ ახალშერჩეულ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება. აღწერილიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა რომ 2023-2024 სასწავლო წლისათვის შემუშავებული საშუალო საფეხურის კურიკულუმი, არის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა .

ინდიკატორი 2.1 2.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურის შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები. სასწავლო პროცესი აგებულია საგნობრივი სამიზნე ცნებების დაუფლებაზე, დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას, საგნობრივი კონტექსტები დამუშავდება სიღრმისეულად. საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არსებული მატრიცები გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ხელი შეეწყობა გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ("მაქსიმალური მოცულობის ყუთის დამზადება", „საწარმოს შესაქმნელად კრედიტის მოძიება", კვლევა „საწვავის ფასის შესწავლა" „მოძრაობის აღწერა ვექტორის გამოყენებით", „საგამოცდო ბილეთის შერჩევის ალბათობა"). ისეა აგებული, რომ იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების: კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის და კომუნიკაციის განვითარების საშუალებას. მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან ვარაუდები, გააკეთონ დასკვნები, ითანამშრომლონ თანაკლასელებთან, შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები- ბუკლეტი, მოდელი, პოსტერი, და ნამუშევარი წარადგინონ კლასის წინაშე. სასკოლო სასავლო გეგმაში წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა ხელს შეუწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში სასწავლო პროცესი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა საგნობრივი კათედრის მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას სასწავლო პროცესი დაგეგმონ დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით. ამ ეტაპზე საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული იქნება მრავალფეროვანი დავალებები, რაც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეების მოტივაციასა და ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ასევე გაირკვა, რომ დავალებების შესრულებისას მოსწავლეს საშუალება ექნებათ თავად აირჩიოს სასურველი პროდუქტი, რომელსაც შექმნის თავისი ინტერესის და შესაძლებლობის შესაბამისად. გაკვეთილებზე გამოყენებული სხვადსხვა ტიპის აქტივობები კი ხელს უწყობს ამ პროცესს. დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომას ასევე აჩვენებს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინკლუზიური განათლების პრინციპები და სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწ. გეგმების ნიმუში. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ მათ გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლების ტრენინგები და სხვა სკოლებში მუშაობით აქვთ ამის გამოცდილება. აღწერილი მდგომარეობა აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის სასავლო გეგმაში ასახულია მოსწავლეთა შეფასების გზები და საშუალებები. საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ ისინი გამოიყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუში და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება წარმართოს სამიზნე ცნებებზე დაფუძნებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა ახლა დაფუძნდა. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილება, თუმცა მასწავლებელებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სკოლას სწორად აქვს გააზრებული როგორ დააგროვებს და შემდგომში გამოიყენებს დაგროვილ გამოცდილებას, რა ინსტრუმენტებს გამოიყენებს ამ პროცესში, როგორ წარმართავს ამ პროცესს. ერთ-ერთ ინსტრუმეტად სკოლას მოაზრებულია აქვს დიაგნოსტიკური წერების ჩატარება, მიღებული შედეგების ასახვა მომდევნო წლის კურიკულუმებში. ასევე მასწავლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა აქტიურად ითანამშრომლებს თავისივე ქსელის სხვა სკოლებთან გამოცდილების გაზიარების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების ინსტრუმენტები
- კათედრების დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ამასთანავე, როგორც საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს არაფორმალური განათლების აქტივობებს: კლუბებს, პროექტებს, სასწავლო - შემეცნებთ ვიზიტებს. არაფორმალური აქტივობები დაინერგება სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ განხორციელებული მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების კვლევის შედეგად. აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში აქტიურად იქნება ჩართული საშუალო საფეხურის მოსწავლეები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ მათ სხვა სკოლებში მუშაობის საფუძველზე აქვთ გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესი წარმართონ კომპლექსური და კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებით. რაც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და საშუალებას მისცემს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი

ქმედებების განხორციელების გზით შექმნან მრავალგვარი შემოქმედებითი პროდუქტები. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები ისეა აგებული რომ მოსწავლეები ჩაერთვებიან შემოქმედებით სასწავლო პროცესში, გამოთქვამენ ვარაუდებს, გააკეთებენ დასკვნებს, შექმნიან შემოქმედებით პროდუქტებს- პოსტერი, მოდელი, ფოტოკოლაჟი და ნამუშევარს წარადგენენ კლასის წინაშე. აღწერილიდან გამომდინარე, სასკოლო გარემომ და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა რომ სკოლას აქვს მზაობა რომ მომავალის სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესი დააფუძნოს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი მოაზრებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების მიხედვით, რომელიც გულისხმობს ახალი ცოდნის დაშენებას ძველ ცოდნაზე. ყოველი მოსწავლე აღიქმება, როგორც ინდივიდი და გათვალისწინებული იქნება მისი საჭიროებები. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მას შემდეგ რაც გამოიკვეთება მოსწავლეების ინტერესები და საჭიროებები, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად აიგება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებზე ახალი ცოდნის დამატებით. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდება კომპლექსური დავალებები, რასაც დაემატება სასკოლო სოციალური პროექტები, ინტერაქტიური აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეს მიეცემა საშუალება გამოავლინოს ყველა არსებული უნარი და შეიძინოს ახალი ცოდნა და უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება მოსწავლეების მიერ საკუთარი სწავლისა და თვითორგანიზების უნარის მართვის სტრატეგიები. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სკოლა როგორც ფორმალურ საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალური განათლების დროს მოსწავლეებს გამოუმუშავებს საქმიანობის დაგეგმვის და მონიტორინგის უნარს, სასწავლო პროცესში გამოიყენებს სწავლის სწავლის მრავალფეროვან აქტივობებს. სკოლას საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის უკვე შეთავაზებული აქვს რამდენიმე დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება (მაგ; ჟურნალისტიკის კლუბი და პროფესიული ორიენტაციის კლუბი). შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა რომ სწავლების პროცესში აქცენტი გააკეთოს სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამი კატეგორიის გათვალისწინებით. კომპლექსური დავალებების მატრიცებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული სტრატეგიები და მეთოდები მოსწავლეებს მისცეს სამივე კატეგორიის ცოდნის მიღების და გამოყენების შესაძლებლობას. (მაგ; 11-ე კლასის გეოგრაფიის თემატურ მატრიცაში არსებული კომპლექსური დავალება საზოგადოებრივი ცნობიერების

ასამაღლებლად ბლოგის შექმნის შესახებ, კარგად ჩანს კომპლექსურ დავალებაში ცოდნის სამი კატეგორიის გამოყენების მაგალითები შესაბამისი კითხვების მეშვეობით; მე-10 კლასში მათემატიკა-„ნორჩი არქიტექტორი“, რომლის განხორციელებისას მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ წინა წლებში ნასწავლ საკითხები, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესში თვითონვე „აღმოაჩინონ“ რამდენიმე ფორმულა და მიღებულ ცოდნას გამოიყენონ პრაქტიკაში, შეძლონ კოტეჯის მშენებლობისთვის საჭირო მასალების რაოდენობის გამოთვლა და ზოგადი ხარჯთაღრიცხვის შესრულება.).

სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს კურიკულუმები, რომლებიც ხელს შეუწყობს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყოს ცოდნის სამ კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, მათ გაცნობიერებული ცოდნის შეძენა არ ხდება ერთი საგნის ფარგლებში, შესაბამისად სასწავლო პროცესში მოაზრებულია იმგვარი აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს დაამყარებინებს საგნობრივ კავშირებს. (მაგ; 11-ე კლასის ისტორიის კურიკულუმში მოცემული კომპლექსური დავალების, გიორგი V-ს მეფობის მნიშვნელოვანი მოვლენების და პროცესების დროის ხაზის შექმნა და პრეზენტაცია, მოსწავლე შეადგენს დროის ხაზს, სადაც ის გამოიყენებს ისტ სასწავლო საგანში შეძენილ ცოდნას). საგნობრივი კავშირების დამყარების პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლეთა არსებულ ცოდნაზე, გათვალისწინებული იქნება მათი ინტერესები. საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითიც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- თემატური მატრიცები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საშუალო საფეხურზე კათედრას წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების ინტენსიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში. კურიკულუმების მიხედვით სასწავლო პროცესი მიემართება საგნობრივ ცნებებს, სამიზნე ცნებისა და თემის მკვიდრ წარმოდგენებს, საკვანძო კითხვები ეხმარება მოსწავლეს დავალების პროცესში სწორი ორიენტირის შენარჩუნებაში. კათედრას შემუშავებული აქვს შემაჯამებელი დავალების ფორმები, რომლებიც ასევე ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილი თემატური მატრიცები აგებულია ,,ახალი სკოლის“ მოდელის ფარგლებში შექმნილი ფორმის მიხედვით. შესაბამისად გათვალისწინებულია სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით (მაგ; 11-ე კლასის მოქალაქეობის კომპლექსური დავალება - გაეცანით ისტორიას – სოციალური საწარმო „ფენოვანის” დათვლილი და დაუთვლელი შედეგები . ამ ისტორიის და სხვა გამოცდილების გათვალისწინებით, მოამზადეთ სარეკლამო ბუკლეტი საწარმო „ფენოვანი” – სოციალური ცვლილებების აგენტი - ითვალისწინებს სამიზნე ცნებას ,, მდგრადი განვითარება“, შესაბამის ქვეცნებას და მკვიდრ წარმოდგენებს) მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზეა შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა საშუალო საფეხურის კურიკულუმებმა აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაზე, საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით იკვეთება, რომ მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. საშუალო საფეხურის წევრ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ მოსწავლეებისთვის არა მარტო ცოდნის გადაცემის აუცილებლობა, არამედ მათი პიროვნული

განვითარების ფაქტორები, რაც გამოიხატება მოსწავლეებისათვის ისეთი დავალებების მიწოდებას, ისეთი მეთოდებით საკითხების დამუშავებას, რომლებიც აგებულია მოსწავლეების თანამშრომლობაზე, მასწავლებლებთან აქტიურ კომუნიკაციაზე. მათ შორის მოიაზრება კომპლექსური დავალებებიც. (მაგ; 11-ე კლასის ისტორიის კურიკულუმში კომპლექსური დავალება ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილე ჰერცოგის წერილობითი მოხსენება რომის პაპის მიმართ, მოსწავლეს მისცემს საშუალებას ემოციური კავშირი დაამყაროს შუა საუკუნეების სხვადასხვა სოციალური ფენის, ეროვნების, რელიგიის ადამიანთან, შესასწავლი ეპოქის თანამედროვე ეპოქასთან შედარების გზით გაუღვივებს ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის გრძნობას, განუვითარებს სამოქალაქო კომპლეტენციებს).

მასწავლებლებთან გასაუბრებამ და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ აჩვენეს, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს ისეთი საგნობრივი კონტექსტებით, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან-სამიზნე ცნებებთან. ამას ადასტურებს კომპლექსური დავალებების ბარათები. სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალებში ასევე წარმოდგენილი იყო ზოგადი ფორმულირების აქტივობებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა რომ იყენებენ სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით ჩამოყალიბებულ კრიტერიუმებს და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. მათ აღნიშნეს, რომ სასაწავლო პროცესში ისინი ხელს შეუწყობენ მოსწავლეების ჩართვას საკითარი თავის და ერთმანეთის შესაფასებლად. წარმოდგენილი შეფასების ზოგადი რუბრიკები და კრიტერიუმები, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრება აჩვენებს, რომ სკოლას აქვს მზაობა შეფასების სისტემა ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. შპს „მწვანე სკოლა საბურთალოს“ შეფასების სისტემა დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებზე, რაც მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა აქტივობების მიხედვით შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, კომპლექსური დავალებების მიხედვით შედგენილი სამზნე ცნებებზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. შეფასების რუბრიკების წარდგენა და დამტკიცება მოხდება საგნობრივ კათედრებზე. შეფასების რუბრიკების გაცნობა მოსწავლეთათვის მოხდება მასწავლებლების მიერ. სკოლაში მოქმედ მშობლეთა კლუბის და ასევე მშობლებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლა გეგმავს მათთან სასწავლო და სააღმზრდელო საკითხებზე შეხვედრებს. მასწავლებლებთან და დირექციის წევრებთან გასაუბრებამ აჩვენა

რომ შეფასების საკითხიც იქნება მათთან ერთად განხილული. მასწავლებლებმა ასევე ისაუბრეს, რომ მათ აქვთ გამოცდილება მოსწავლეებთან ერთად ვალიდური ანუ მიზანზე ორიენტირებული შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების. გამჭვირვალე, ობიექტურ და სამართლიან შეფასებაში კი ისინი მოიაზრებენ შემდეგს: მოსწავლეებს ეცოდინებათ და გააზრებული ექნებათ კრიტერიუმები, მკაფიოდ უნდა იცოდნენ რა არის წარმატებული შედეგი და რა არ არის მისაღები. სანდოობა კი უზრუნველყოფს მკაფიო შეფასების სქემას შესაფასებელი დავალებისთვის.

აქედან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა, სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური შეფასების სისტემა.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. შპს „მწვანე სკოლა- საბურთალომ“ წარმოადგინა დოკუმენტი „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, სადაც აღწერილია როგორ დარეგულირდება შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. დოკუმენტში მოცემულია ვერიფიკაციის არსი და მიზნები, ვერიფიკაციის მექანიზმი და განხორციელების ეტაპები, რისკების სისტემა, ვერიფიკაციის დასკვნითი პროცედურა, ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის ორგანიზებით. ჯგუფის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი. ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის პროექტი გაეგზავნება სკოლის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ჯგუფთან ერთად ადგენს შესასრულებელი რეკომენდაციების გეგმას. საბოლოო დასკვნა - ვერიფიკაციის შედეგების შესახებ წარედგინება სკოლის დირექტორს რეაგირებისათვის. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი. აღნიშნული დოკუმენტი საშულებას მისცემს დაადგინონ შეფასების ვალიდურობა, ობიექტურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა და სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6…შპს „მწვანე სკოლა - საბურთალოს“, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არის ჩანაწერი , რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 (სამი) წლის ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- თემატური მატრიცები
- შეფასების ინსტრუმენტები
- მშობელთა კლუბის დებულება
- შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის კონცეფციის ითვალისწინებს, სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნას, რაც აკადემიური წარმატებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მასწავლებლები იზრუნებენ პოზიტიური გარემოს შექმნაზე, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება და მოსწავლის მოსაზრება აუცილებლად იქნება გათვალისწინებული. მოსწავლეები თავიანთი ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით ჩართულები იქნებიან არაფორმალურ განათლების სხვადასხვა აქტივობებში, რომელთაგან ზოგიერთი სკოლას უკვე შექმნილი აქვს, ხოლო სხვებს შექმნის სასწავლო პროცესის დაწყების პარალელურად სწორედ მოსწავლეების ინტერესებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და თანამშრომლობითი გარემოს დასამკვიდრებლად სკოლას შექმნილია აქვს შესაბამისი დოკუმენტები (სკოლის მისია, საგნობრივი პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმა)
წარმოდგენილი დოკუმენტებით (სკოლის მისია, საგნობრივი პროგრამები, სასკოლო სასწავლო გეგმა) სკოლა აცხადება მზაობას, სასწავლო პროცესში შექმნას მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლე წარმოადგენს სასწავლო პროცესის მთავარ სუბიექტს. მასწავლებლები მოსწავლეს გაუწევენ ყველა სახის დახმარებას, რაც მათ დაეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში. ამადროულად მასწავლებლები ეცდებიან დახმარების თანდათანობით შემცირებას, რათა მოსწავლემ თავად შეძლოს სირთულეებთან გამკლავება. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას. საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს აძლევს მეტაკოგნიციის და თვითრეგულაციის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობითი კულტურა მიიღწევა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზით, მოსაზრებების გაზიარებით. აგრეთვე დაიგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც საგნობრიც კათედრის ფარგლებში, ასევე სხვადასხვა კათედრებს შორის თანამშრომლობის გზით. თანამშრომლობა და გუნდურობა იქნება სკოლის ატმოსფეროს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4.. 2023-2024 წლის სასკოლო-სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ პოზიტიური კლიმატის შექმნას ხელს შეუწყობს როგორც ოფიციალური, ასევე ფარული კურიკულუმი. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მრავალფეროვან აქტივობებს, რისი გამოცდილებაც უკვე მწვანე სკოლების სქელის სხვა ფილიალებს. მასწავლებლები ეცდებიან მოსწავლეებში სკოლისადმი მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობის ჩამოყალიბებას. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი უნდა იყოს დაცული და თავს გრძნობდეს უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში.

ინდიკატორი 2.2.3.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის შინაგანაწესი
- პროფესიული ზრდისთვის დაგეგმილი აქტივობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში სასწავლო პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, შესაბამისად საშუალო საფეხურის კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება არ მომხდარა. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას. განსაზღვრულია ინტერვენციის ეტაპები: სასწავლო პროცესში არსებული ხარვეზების გამოსავლენად მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება; გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების შემუშავება; სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება, გამოვლენილი საჭიროებებისამებრ; სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2 კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების პრინციპები. მონიტორინგის და შეფასების პროცესში გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა: მოსწავლეების შედეგების კვლევა და გაუმჯობესების გზების დასახვა, მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და რეკომენდაციების გაცემა, მშობლების ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართება სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად. პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვისა და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად და სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასკვნის პროექტით სკოლა მიეცა რჩევა ,,სასურველია, კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცედურები დეტალურად გაიწეროს მეთოდოლოგიაში. კერძოდ, ვინ და რა პერიოდულებით განახორციელებს მონიტორინგს/შეფასებას ? რა ინსტრუმენტები გამოიყენება?“ არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა განახლებული

,, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია“, განახლებულია მეთოდოლოგია ითვალისწინებს, მონიტორინგის განმხორციელებელი ჯგუფის შემადგენლობას (დაწყებითი საფეხურის პროგრამის ხელმძღვანელი, საბაზო/საშუალო საფეხურის აკადემიური მენეჯერი და კათედრის თავმჯდომარეები), მონიტორინგის განხორციელების პერიოდს (სემესტრში ორჯერ - სემესტრის მიმდინარეობისას და სემესტრის დასასრულს) და შეფასების კრიტერიუმებს (შესაბამისობა სამიზნე ცნებებთან; მოსწავლეთა ინტერესები კონკრეტული საკითხისა და სამიზნე ცნებების მიმართ; შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებთან, სავარაუდო შესაძლებლობებთან და საჭიროებებთან; მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის შესაბამისობა რეალურ ცხოვრებასთან)

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრ. 2/71; 14/09/2023 ,, კურიულუმის შემუშავების და განვითარების მოთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- კურიკულუმის შემუშავების და განვიტარების მეთოდოლოგია
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც იკვეთება ცალკეული ელემენტები, თუ როგორ მოხდება სასწავლო პროცესის შეფასება მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებით. კერძოდ, მასწავლებლები მოსწავლეების აკადემიური შეფასების ამსახველ ინფორმაციებს ასახავენ ბაზაში, კათედრებზე მოხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა, ინფორმაცია მიეწოდება დირექციას, რომელიც გასცემს შესაბამის რეკომენდაციებსა და მითითებებს (მაგ; სასწავლო პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად სამუშაო შეხვედრების დანიშვნა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა ლიტერატურის მიწოდებით, ტრენინგებზე დასწრებით და სხვ.). როგორც სკოლის კოლექტივთან გაერთიანებულ შეხვდრაზე აღინიშნა სასურველია კიდევ უფრო გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების ჩართულობა (მოსწავლე, მშობელი), ამასთანავე შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, ინფორმაციის მოპოვების წყაროები, სასწავლო წლის განმავლობაში პროცესის განხორციელების ვადები და პერიოდულობა, პროცესში ჩართული სტრუქტურების უფლება-მოვალეობები. ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე). აღნიშნულ პროცესში აქტიურად იქნება ჩართული საშუალო საფეხურის საგნობრივი

კათედრები, რომელიც ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ მოიპოვებს მრავალფეროვანი წაროებიდან: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, მოხდება მოპოვებული ინფორმაციის შეჯამება.

წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში ჩანს სკოლის მზაობა შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება გარკვეული კონტექსტები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდება სასწავლო პროცესის შეფასებისას. მაგ; ყურადღება გამახვილებულია მშობელთა ჩართულობის კომპონენტზე. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან გაერთიანებულ შეხვედრაზე აღინიშნა, სასურველია შემუშავდეს უფრო დაკონკრეტებული მოქმედებების პაკეტი, სადაც მითითებული იქნება სასწავლო პროცესის შეფასების პროცედურები, მათ შორის, მრავალი კონტექსტის გათვალისწინების კომპონენტი (მაგ; მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების შესაფასებლად გათვალისწინებული იქნება სკოლაში ,,კრიტიკული მეგობრის“ აქტიური დანერგვა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, მოხდება მოსწავლეთა დიაგნოსტირება და შედეგების ანალიზი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და რეკომენდაციების მიცემა. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კომპლექსურ დავალებებზე მუშაობას, მოსწავლეთა ჩართულობას არაფორმალურ განათლებაში, კლასგარეშე აქტივობებში მონაწილეობას). ეს შეიძლება დაემატოს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტსაც, ან გამოიცეს ცალკე დოკუმენტად (მაგ; მცირე ზომის ბუკლეტი სასწავლო პროცესის შეფასების მეთოდოლოგიაზე)

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, სკოლის საგნობრივი კათედრები დაგეგმავენ და ორგანიზებას გაუწევენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, დიაგნოსტიკური წერა, ექსპერიმენტი, კომპლექსური დავალებები, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა) რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. სამომავლოდ სკოლა გეგმავს შექმნას ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოიაზრებს სრულიად სასკოლო საზოგადოების ჩართვას და მათი ინტერესების გათვალისწინებას მონაცემთა შეგროვების **პ**როცესში.

წარმოდგენილი ინფორმაციით, სკოლა აცხადებს მზაობას შეფასებისას გამმოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4.სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრები გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია. შეფასებაც განხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით

ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წელს აპირებენ მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზს, ასევე გეგმავენ შეიმუშაონ მოსწავლის დიფერენცირებული პროფილი, მოახდინონ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, შეფასებისას გაითვალისწინონ გარე ფაქტორები, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა).

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პედაგოგთა ინტერვიურების პროცესიდან და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის გათვალიწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გადაიხედება, მოხდება მისი გადასინჯვა საგნობრივ კათედრებზე. საჭიროებიდან გამომდინარე, შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე, მასწავლებლები განიხილავენ მანამდე შექმნილი კურიკულუმს და შეფასების კრიტერიუმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება გადამუშავება. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შეეცდებიან შექმნან კურიკულუმის საუკეთესო მოდელები, სადაც გათვალიწინებული იქნება სკოლის ,,ავტონომიური ბუნება" და ხედვა.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, ასევე პედაგოგოებთან საუბრისას მკაფიოდ იკვეთება საგნობრივ კათედრაზე მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები, რომელიც პასუხობს მესამე თაობის ესგ-ის მოთხოვნებს. საგნობრივ მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და საგნობრივი მიმართულების კათედრის წევრი პედაგოგოები მუდმივად განახორციელებენ კურიკულუმების გადახედვის პროცესს. გაზირების არეალი ჯერ კათედრების დონეზე მოხდება, შემდეგ სკოლის დონეზე იგეგმება. საგნობრივი მიმართულების კათედრები გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და უზრუნველყოფენ მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მონაცემების ასახვას.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Digitally signed by Maka
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.ლელა ფიცხელაური -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -

2. თამარ ჩხიკვაძე -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი--

3. ნონა ბეროშვილი- უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი--

4. სალომე არაბიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი--

5. ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

6. ნიკოლოზ ჩუბინიძე -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი--

7. ნანა ცინცაძე -მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი--

8. ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი--

9. დავით ბოლქვაძე-საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი---

10. მაკა ინაშვილი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი--

25 სექტემბერი 2023 წელი
.....
თარიღი